MES 9 21 0000758425

30/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი (I, II, IV საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (III საკითხი)
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

14. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნინო პოპიაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2.	ნატო გენგიური	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I
3.	სოფიო ხუნდაძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	II
4.	ალექსანდრე რაქვიაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
5.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III
6.	ქეთევან გივიშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	III
7.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		IV

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
8.	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	IV
9.	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
10.	ლევან იმნაიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ინჟინერია“ ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რამაზ ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მანანა ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “სამართლისა და ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი; საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა მესამე საკითხის, შპს - უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის საბჭოს უახლოეს სხდომაზე გადატანის შესახებ, დაწესებულებისგან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის გამო.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “სამართლისა და ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.06.2020, გადაწყვეტილება №525928
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა თამარ ჩხეიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რამაზ ქურდაძემ განმარტა, რომ აკრე-დი-ტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 4 ივ-ნისს შემდეგი შემადგენლობით: რამაზ ქურდაძე, მიხეილ გი-ორგაძე და ქეთევან ჩეკურიშვილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მეორედ, პროგრამამ 2020 წელს გაიარა აკრედიტაცია და ვადის ამოწურვის შემდგომ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ვიზიტზე. მან, ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა იყო საინტერესო და დაკომპლექტებული კეთილგანწყობილი და შესაბამისი აკადემიური დონის პერსონალით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხუთივე სტანდარტი იყო შესაბმისობაში, თუმცა მთავარი ნაკლი იყო ის, რომ პროგრამას ჯერჯერობით არ ყავდა სტუდენტი. მისი განმარტებით პროგრამის გაცნობამ დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ სტუდენტის მოსვლის და ამოქმედების პირობებში პროგრამა გაამართლებს, ხოლო იმისათვის, რომ პროგრამა უფრო გამართული იყოს და ჯეროვნად მუშაობდეს ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები და შენიშვნები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში გაკეთდეს დეტალური ჩანაწერი სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, რითაც მკაფიო გახდება არსებული ჩანაწერის - არანაკლებ 51 ქულისა, მნიშვნელობა.
2. A და B ბლოკების ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილების მექანიზმი მოიხსნას პროგრამის წინაპირობებიდან და გადავიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში, რადგან ეს, ფაქტობრივად, სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ხორციელდება.
3. საჭიროა უნივერსიტეტმა სასწავლო მასალა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში გა-ნა-თავ-სოს საავტორო უფლებების გათვალისწინებით და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო აკრედიტაციის ექსპერტების შეფასება. აღნიშნული პროგრამა სრულიად გადამუშავდა და ახალი პროგრამა იქნა წარდგენილი ექსპერტების წინაშე, პროგრამაში არის გათვალისწინებული ბევრი ნიუანსი, რომელიც უნივერსიტეტს გამოარჩევს, როგორც სახელოვნებო უნივერსიტეტს და ქართული ენის სწავლების თემა სრულად არის ინტეგრირებული უნივერსიტეტის სფეციფიკასთან. დაძლეულია პრობლემები, რომლებიც სახელოვნებო უნივერსიტეტებს ჰქონდათ წინაპირობებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინსტიტუცია ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და არ აქვთ განსხვავებული მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო კარგი და სრულ შესაბამისობაში დარგობრივ მოთხოვნებთან, თუმცა რჩევის სახით განმარტა, რომ არჩევით საგნებში, რომელსაც პროგრამა სთავაზობს მსმენელებს, ე.წ მოკლე კურსები, უნივერსიტეტის სფეციფიკიდან გამომდინარე, როგორიც არის „კინოს ისტორია“ „ხელოვნების ისტორია“ და სხვა. სადაც სილაბუსებში მიზანი, არის დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლება და სრულად მოიცავს მიზნებს და შედეგებს. თუმცა საბჭოს წევრის მოსაზრებით სათაურებიდან გამომდინარე, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა საგნების სახელი ყოფილიყო დარგობრივი ქართული ენა და პროგრამის სფეციფიკიდან გამომდინარე ფრჩხილებში ყოფილიყო ის სპეციალიზაცია, რაც უნივერსიტეტის პროფილია და სპეციალიზაციას წარმოადგენს. ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული საგნები ისწავლება მხოლოდ ძლიერ ჯგუფებში - B ბლოკში, თუ A დონის ჯგუფებშიც. ასევე, ზოგიერთი სილაბუსი მაგალითად ქართული ენა, კომუნიკაციური გრამატიკა და სხვა საჭიროებს მეტ სიზუსტეს შეფასების ნაწილში ქულობრივი ჩაშლის რუბირკებად საგნის სფეციფიკის გათვალისწინებას, რადგან არის ასეთი ჩანაწერი, რომ დაწვრილებით არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში. როდესაც საუბარია არაქართულ ენოვან მსმენელებზე, რომლებიც სრულფასოვანი სტუდენტებიც კი არ არიან, უმჯობესი იქნებოდა სილაბუსში ეს დეტალურად იყოს ჩაშლილი. ზოგიერთი სილაბუსი არის ქულობრივად ჩაშლილი და დეტალურია, თუმცა რამდენიმე სილაბუსი შეფასების ნაწილში უფრო დაკონკრეტებას და დეტალიზებას გულისხმობს. საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას და ეთანხმება ექსპერტთა ჯფუფს, რომ ენის დონის განმსაზღვრელი პრეტესტი არ არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, არამედ არის მსმენელების გადანაწილება ძლიერ და სუსტ ჯგუფებში. თუმცა პროგრამის წინაპირობაში ეს არ წერია, კარგად არის გაწერილი, რომ თვითონ შინაარსში და სასწავლო გეგმაშია მოცემული. საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს საკითხი არ

წარმოადგენს ისეთ პრობლემას, რომ საჭიროებდეს რეკომენდაციას, არამედ შესაძლებელია, გაიცეს მხოლოდ რჩევა, რადგან წინაპირობაში წერია მხოლოდ ის ენის და უნარების ტესტი, რასაც აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადიან, ხოლო დანარჩენი წერია უკვე როგორ ხდება ჩარიცხვის შემდგომ სტუდენტების გადანაწილება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ გაეცნო დამსაქმებელთა გამოკითხვას, თუმცა ვერ ნახა გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა და დაინტერესდა თუ არის ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯები გადადგმული. შესაძლებელია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ისე განხილვა, როგორც ფიქსირებული სახელმწიფო დაკვეთის ფორმის მქონე, თუმცა უმჯობესი იქნებოდა შრომის ბაზრის მოთხოვნების გაგება. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ გაეცნო ბიუჯეტის წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც, მისი მოსაზრებით, უფრო მეტად არის ხარჯების აღწერა, ვიდრე ბიუჯეტი. ბიუჯეტი, როგორც წესი ეს არის შემოსავლები და ხარჯები. წარმოდგენილი დოკუმენტი არის მთლიანად ფაკულტეტის და უმჯობესი იქნებოდა, გაკეთებულიყო პროგრამის ბიუჯეტი, ანუ რა არის მინიმალური რაოდენობა სტუდენტების, რომელთა მოსვლის შემთვევაში პროგრამა გაიხსნება, ასევე თუ არ მოვიდა სტუდენტი ამ შემთხვევაში საიდან დაფინანსდება დარჩენილი სხვაობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მასალებში, რომელსაც გაეცნო ექსპრეტთა ჯგუფი, აღნიშნული ენის დონის განმსაზღვრელი პრეტესტი წარმოდგენილი იყო წინაპირობად. თუკი ექსპერტთა ჯგუფს რაიმე სახის ცდომილება მოუვიდა და აღნიშნული საკითხი არის პროგრამის აღწერილობაში და შინაარსში, ეს ასეც უნდა იყოს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი, მეგობრულად და შეთანხმებულად მუშაობდა, ხოლო რეკომენდაციები მხოლოდ ექსპერტთა თავმჯდომარის აზრი არ ყოფილა. აღნიშნულ რეკომენდაციაში გათვალისწინებული პრობლემა, გამოსწორებადია. ექსპერტმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ თუკი საბჭოს წევრები საჭიროდ ჩათვლიან აღნიშნული რეკომენდაცია გადავიდეს რჩევაში, ექსპერტთა ჯგუფი ამის წინააღმდეგი არ არის. ხოლო, თუკი აღნიშნული, საკითხი ცენტრში წარმოდგენილ მასალაში არის აღწერაში, მაშინ სრულიად უნდა მოიხსნას რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე დადებითად შეაფასა ექსპერტთა ჯგუფის წევრების აქტიური მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო პოპიაშვილმა ისაუბრა დარგობრივ კურსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამის შედგენილობა, სრულად ეყრდნობა დარგობრივ ჩარჩოს მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებით, რომელიც შემუშავდა გასულ წელს და ასევე სრულად ეყრდნობა ქართული ენის ფლობის დონეებს, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის აგვისტოდან, პრემიერ მინისტრის განკარგულებით. გარდა ამისა, პროგრამის შედგენილობა ასახავს დონეებად დაყოფას, როგორც ეს დარგობრივ დოკუმენტშია წარმოდგენილი პირველ სემესტრში, სწავლების დასაწყისშივე. წინა პირობა, პრეტესტის საფძველზე გაწერილია სილაბუსებში, რადგან სტუდნეტი ვერ მოხვდება A ან B ბლოკში, თუ აღნიშნული პრეტესტი არ გაიარა, შესაბამისად პირველ სემესტრში სწავლება დაყოფილია დონეებად, ხოლო მეორე სემესტრში A ბლოკი ინტენსიური სწავლებით მიდის იმ დონემდე, რომ A და B ბლოკი ერთანეთს გაუთანაბრდეს, შესაბამისად მეორე სემესტრიდან შემოდის, როგორც დარგობრივ დოკუმენტში არის გაწერილი გაერთიანებული დონე, სადაც არის დარგობრივი ენის და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდოლოგია. მეორე სემესტრის საგნები არის დარგობრივი ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების საგნები, რომლებიც არის უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიხედვით ე.წ სავალდებულო არჩევითი კურსები, სტუდნეტმა უნდა აირჩიოს წინასწარ, რომელ მიმართულებაზე გაგრძელებს სწავლას შემდგომ და ამის მიხევით უნდა აირჩიოს სავალდებულო არჩევითი კურსებიდან შესაბამისი მოდულები და ეს არის თეატრალური უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიხედვით გაწერილი. სავალდებულო საგნები არის 20 კრედიტის ფარგლებში, ხოლო სავალდებულო/არჩევითი კურსები - 5+5 კრედიტი, დრამის ფაკულტეტისათვის: სასცენო მეტყველება თეატრის ისტორია (მოკლე კურსი) ან: სასცენო მეტყველება ქართული ტრადიციული მუსიკა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგნების სათაურების დაზუსტებასთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა რჩევები, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები გაგებით შეხვდნენ და შესაძლებელია გაითვალისწინონ მომავალში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო გენგიურმა ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი სრულად არის გაწერილი უნივერსიტეტის ბიუჯეტში. ვინაიდან უნივერსიტეტი არის ძალიან მცირე მასშტაბის, ვერ შეედრება სტუდენტური რაოდენობით და ვერც ფაკულტეტების რაოდენობით სხვა ქართულ უნივერისტეგებს. აღნიშნულ უნივერსიტეტში ყველაფერი ერთიან ფინანსურ ბიუჯეტს ეფუძნება და ასეთი პრინციპით არის აწყობილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მეტყველებს მის მდგრადობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა ისტორია, რომლის მიხედვითაც პროგრამა იყო წამგებიანი უნივერსიტეტისათვის, ამ დრომდე მხოლოდ 1 სტუდენტი ჰყავდა პროგრამას და სირთულეს სწორედ ეს განაპირობებდა. პროგრამის არსებობის სირთულეს წარმოადგენდა სწორედ ის, რომ არ იყვნენ შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტები, რომლებიც ამ პროგრამას მოემსახურებოდნენ სრულად, შესაბამისად იყო წამგებიანი. ერთი სტუდნეტისათვის დაწესებულების წარმომადგენლებმა მოიწვიეს პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფდა მის სწავლებას, აქედან გამომდინარე პროგრამის არსებობის წინა პერიოდი იყო ყველა სახელოვნებო უმაღლესის პრობლემა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ეძებდნენ გზებს, რომ ჰქონოდათ უკეთესი გადაწყვეტის შესაძლებლობა, რათა რესურსი დაეზოგათ, შესაბამისად ინსტიტუციამ მემორანდუმი დადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც წამოვიდა თანამშრომლობაზე. საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული პროგრამა აქვს უნივერსიტეტს. პროგრამამ 2020 წელს მიიღო პირობითი აკრედიტაცია. მოხდა ძირეული შეცვლა და გაუმჯობესება. პროგრამის მთავარი მონაპოვარი დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, არის დარგობრივი კურსები, რომლის გაკეთებაც იყო დიდი პლიუსი. რაც შეეხება გამოკითხვის ფორმებს, ეს არის ის ფორმები, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს ყველა სპეციალობაზე. ინსტიტუციას აქვს გამოკითხვა შევსებული დამსაქმებლებთან დარგობრივად, იმ სპეციალობების მიხედვით რაც არსებობს. ქართული ენის კომპეტენცია, მოთხოვნილია ყველა ქართულ ორგანიზაციაში და ცალკე გამოკითხვა ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა. ერთი სტუდენტისთვის, რომელიც ყავდა პროგრამას, ჩატარდა ყველა გამოკითხა, რაც არის მიღებული უნივერსიტეტში. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ გამოკითხვები, რომლებიც სხვა დარგების მიმართ იყო ჩატარებული, დოკუმენტაციაში არ წარმოადგინა დაწესებულებამ, თუმცა არის შევსებული დაა გაანალიზებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:53

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1.2 სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში გაკეთდეს დეტალური ჩანაწერი სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და სამიზნე ნიშნულებად განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე (51 ქულა) უფრო მაღალი მაჩვენებელი

2.6 რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსში გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.1 რეკომენდირებულია პროგრამის განვითარების მიზნით გაიზარდოს აკადემიური მდგრადობა (მაგ. პროგრამის ხელმძღვანელი).

რჩევები:

1.2 სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

4.3 საჭიროა უნივერსიტეტმა სასწავლო მასალა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განათავსოს საავტორო უფლებების დაცვისთვის განკუთვნილი მოთხოვნების შესაბამისად.

4.4 სასურველია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

მეორე საკითხი: შპს - ევროპის უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.01.2016, გადაწყვეტილება №5
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მენეჯმენტი Management
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში Master of Business Administration in Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	

		გურამიშვილის გამზ. №76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მაკა კაჭარავამ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში 2021 წლის 2 ივნისს. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2015 წელს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეფასების მომენტისათვის პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან, რის მიხედვითაც ხუთივე სტანდარტი იყო შესაბამისობაში. ექსპერტების მიერ შემუშავდა მხოლოდ ორი რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კორექტირება, კერძოდ საერთაშორისო გამოცდები არ უნდა იქნეს მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების საპირწონედ;
2. რეკომენდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებას ემსახურება 18 აკადემიური პერსონალი და სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 13 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამა კარგად არის შედგენილი და ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან კოლეგიური გარემოს შექმნით, ჰქონდათ შესაძლებლობა მაქსიმალურად ეჩვენებინათ ექსპერტთა ჯგუფისთვის ინსტიტუციის მიერ განხორციელებული სამუშაოები და დაეფიქსირებინათ დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს პირველ რეკომენდაციას. მისი თქმით, იყო ტექნიკური ხარვეზი და უზუსტობა, რაც უკვე გასწორებულია პროგრამის ძირითად ტექსტში. ხოლო მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი

შედგენილია პროგრამების ბიუჯეტის გაერთიანებით. რაც შეეხება პოტენციურ შემოსავლებს და ხარჯებს, დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყველა შესაძლო შემოსავალი და ხარჯი. შემოსავლების დათვლის პრინციპი, რადგან პროგრამების დონეზე ხდება თავისთავად გაწერა შემოსავლების და ხარჯების, დაწესებულების წარმომადგენელები ითვალისწინებენ სტუდენტების რაოდენობას, კურსდამთავრებულების და გამოცხადებული ადგილების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაშიც მაქსიმალურად ცდილობენ, რომ რეალისტური იყოს შემოსავლები და გამოცხადებული ადგილების მთლიანად გათვალისწინება არ ხდება შემოსავლების დათვლაში, რათა მაქსიმალურად იყოს რეალისტური შემოსავლები. რაც შეეხება რეკომენდაციაში გათვალისწინებულ სხვა წყაროებს, ინსტიტუციას აქვს მიდგომა, რომ აჩვენებენ გარე დაფინასნების სხვა წყაროებსაც, კვლევითი პროექტებიდან, საპროცენტო შემოსავალი და ა.შ. თუმცა აღნიშნული ფაკულტეტის შემთხვევაში სხვა ტიპის შემოსავლები არ ყოფილა და შესაბამისად არ წარმოადგინა დაწესებულებამ. სხვა ფაკულტეტის შემთხვევაში არსებობს სხვა ტიპის შემოსავლები, იგივე კვლევის პროექტების დაფინანსებიდან და ნაჩვენებია უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტში და შემოსავლების ნაწილში. რაც შეეხება ხარჯებს, ესეც პროგრამების დონეზე ხდება, დაწესებულების წარმომდგენლის მოსაზრებით მაქსიმალურად არის ნაჩვენები ყველა ტიპის ხარჯი, რაც პროგრამის დონეზე არის გათვალისწინებული (ხელფასები, წახალისება, კვლევითი საქმიანობა, სხვადასხვა აქტივობები). თუმცა, ასევე არსებობს ხარჯები, რომლებიც არაპირდაპირია და კონკრეტულად პროგრამებს ვერ ენიჭება, მაგრამ ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუცია წარმოადგენს არა მხოლოდ ფაკულტეტის ბიუჯეტს სააკრედიტაციო დოკუმნეტებთან ერთად, არამედ უნივერსიტეტის ბიუჯეტსაც და ინსტიტუციის მიზანია, რომ სწორი და სრული წარმოდგენა შეექმნას ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს წევრებს უნივერსიტეტის მდგარდობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის ორივე რეკომენდაციას. ასევე ისაუბრა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციაში საუბარი იყო, რომ პროგრამის მიხედვით იყოს გაწერილი ბიუჯეტი, მითუმეტეს თუკი დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამიდან აკეთებენ ბიუჯეტს, რათა დაზუსტებული იყოს, როგორი მდგომარეობაა თითოეულ პროგრამაზე. საბჭოს წევრის მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია სავსებით მისაღებია და ინსტიტუციას ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს. საბჭოს წევრმა, ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზზე და დადებითად შეაფასა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მეორადი კვლევა, თუმცა აღნიშნა, რომ ხუთი დამსაქმებლის გამოკითხვა არარელევანტურია, უნივერსიტეტის ინტელექტუალური და ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე სილაბუსში აღმოაჩინა შეუთავსებლობა. მაგალითად „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები“ სადაც კონტენტი არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს, ხოლო ძირითად ლიტერატურაში მოხსენიებული რობინსი კოულტერი ეს არის კლასიკური საბაკლავრო დონის სახელმძრვანელო. ასეთივეა „გლობალური სტრატეგიები და კონკურენტული უპირატესობის მართვა“ და „პროექტების მართვა მენეჯერებისათვის“ რელევანტური არ არის სამაგისტრო დონისათვის და დაინტერესდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორია დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია?

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა, სასწავლო კურსის „ინოვაციები და მეწარმეობა“, გავლის შემდგომ რა უნარი განუვითარდება მაგისტრანტს? საუბარია ტექნიკურ ინოვაციაზე თუ საუბარია სოციალურ ინოვაციაზე? ასევე ძირითად ლიტერატურად წარმოდგენილია უცხოენოვანი ლიტერატურა, თუკი სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, როგორ ახერხებს სტუდენტი სწავლას?

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკაავშრებით, გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო ნაშრომებს და რამდენად შესაბამებოდა ნაშრომები სამაგისტრო დონეს, იყო თუ არა გათვალისწინებული აკადემიური სტილი? საბჭოს წევრმა ასევე კითხვით მიმართა დაწესებულებას, როგორ ირჩევს მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას, მათ აქვთ თავისუფლება და შეუძლიათ, რომ თავად აირჩიონ თემები თუ შეთავაზებული აქვთ გარკვეული თემები და იქიდან ირჩევენ? ასევე აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, რა პროგრამით სარგებლობს ინსტიტუცია და როგორია პროცედურები? სამართლის საკორპორაციო სილაბუსთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების შესწავლა და კარგია, რომ სილაბუსი წარმოდგენილია, თუმცა კურსის მიზანში წერია, რომ სტუდნეტმა სიღრმისეულად შეისწავლოს, მაგრამ სამაგისტრო დონეზეც არაიურისტი, თუ იქნება მისული რამდენად მოახერხებს სამართლის ამ დარგის სიღრმისეულად შესწავლას? აღნიშნული დარგი არც ისე მარტივია, რომ სიღრმისეულად

შეისწავლოს არაიურისტმა. შესაბამისად, ის დაინტერესდა, როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომებს და სტანდარტთან შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, დაწესებულებას განხორციელებული აქვს ბევრი ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში და სტანდარტებში. აქედან გამომდინარე არსებული მოცემულობით, როდესაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვა გაცილებით სხვა რეალობა იქნება, რადგან შეცვლილია მოცემულობა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ნაშრომების დაცვა. წარმოდგენილი იყო სამი ნაშრომი. ინსტიტუციას აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა და აღნიშნული პროცედურებიც გაწერილია. სამაგისტრო ნაშრომის არჩევის დროს სტუდნეტები კონსულტაციებს გადიან პოტენციურ ხელმღვანელთან, შემდგომ ზუსტდება და ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტის შედგენა ხდება და ერთიანდება ფაკულტეტის ბიუჯეტში, თუმცა არის ხარჯები, რომელსაც კონკრეტულად პროგრამას არ აკუთვნებს ინსტიტუცია, ამიტომ პროგრამის ბიუჯეტი დგება პირდაპირი ხარჯების და პირადაპირი შემსავლების გათვალისწინებით. არაპირადპირი ხარჯები, რაც ფაკულტეტის დონეზეა, იწერება ფაკულტეტის ბიუჯეტში, თუმცა შესაძლებელია პროგრამის დონეზე გამეორდეს იგივე პირდაპირ ხარჯებსა და პირდაპირ შემოსავლებთან დაკაავშირებით, ამის წარმოდგენა პროცესში თავისუფლად შესაძლებელია. დამსაქმებლების გამოკითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რაოდენობა არი იყო ბევრი, თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეყრდნენ მხოლოდ წარმოდგენილი ხუთი დამსაქმებლის გამოკითხვას. ზოგადად პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდათ შეხვედრა, გაიმართა პანელური დისკუსია, სადაც დამსამქებელთა ასოციაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური მსჯელობა თუ რა ცოდანას და უნარებს ითხოვს ბაზარი კონკრეტულად აღნიშნული სპეციალისტებისგან? დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა მათი რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა ამის სხვაგავრად წარმოდგენა ვერ შეძლო ინსტიტუციამ, თუმცა ნამდვილად ჩატარდა აღნიშნული შეხვედრა და დაწესებულების წარმომაგდენელმა ასევე დაადასტურა, რომ შეუძლია წარმოადგნიოს სასწავლო კურსი ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რომელიც ამ შეხვედრაზე გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შევიდა პროგრამაში. რაც შეეხება სასწავლო კურსის შედეგებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის ნახსენები სასწავლო კურსი არის პირველ სემესტრში, შესაბამისად შედის შეხსენებითი საკითხები, ასევე, არის საკითხები, რომლებიც შეიძლება არ იყოს სამაგისტრო დონის, მაგარამ იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მოსულ სტუდენტს არ აქვს ბიზნესის ადმინისტრირების განათლება, ინსტიტუციამ ჩათვალა, რომ კონკრეტული საკითხების გაცნობა და შეხსენება დასაწყისისთვის კარგი იქნებოდა, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სასწავლო კურსი რა შედეგებზეც გადის, არცერთ შედეგში არ წერია, რომ გაღმავების დონეზეა და პროგრამის ყველა შედეგის გაღრმავება ხდება, რომელიმე სასწავლო კურსით აუცილებლად. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ინოვაციები და მეწარმეობა“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შედეგებში არ არის საუბარი ტექნოლოგიურ ინოვაციებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უცხოენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან კარგი და უახლესი ლიტერატურა არის მითითებული და ეს კორელაციაც დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფმა. პროგრამაში მიღების წინაპირობა არის B2 დონე, საკმაოდ სერიოზული ფილტრი არის გამოცდაზე თავისი კომპონენტების მიხედვით, ამიტომ ამ კუთხით თეორიულად მაინც გამართულია ყველაფერი. თუმცა, რადაგანაც ქართულ ენაზეა სწავლება და ლიტერატურაში ბევრი ინგლისური წიგნია, რჩევის სახით გაიწერა დასკვნაში, რომ „სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის მაქსიმალურად იქნეს მიწოდებული ქართულენოვანი სასწავლო მასალები“, ხოლო სქემა, ორგანიზებულობა და თანხვედრა სტანდარტებთან კითხვის ნიშნებს არ იწვევს.

დაწესებულების წარმოდმადგენელმა, სოფიო ხუნდაძემ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში წინაპირობად არის გასაზღვრული B2 დონე და დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს უნარები სტუდენტის უცხოენოვან, ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობის განუვითარონ, რადგან აუცილებლად დასჭირდებათ ეს უნარები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. სამაგისტრო ნაშრომის შერჩევასთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შერჩეულია სავარაუდო ხელმძღვანელები და რა თემატიკაში შეიძლება გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს ეს ცნობილია, რისი მიხედვითაც ირჩევენ სტუდენტები ხელმძღვანელს და შემდეგ ხელმძღვანელთან ერთად ხდება თემის და დასახელების დაკონკრეტება, თუმცა სტუდენტებმა იციან სავარაუდო ხელმძღანელები და რა თემატიკაზე

უხელმძღვანელებენ ისინი მათ. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით ,,Turnitin", ხოლო პროცედურებს რაც შეეხება, ნაშრომს წარადგენს სტუდენტი ხელმძღვანელთან და ხელმძღვანელი ამოწმებს,,Turnitin"-ის პროგრამაზე და მასთან ერთად ხდება აღნშნული საკითხის დამუშავება. ხელმძღვანელი როდესაც წერს დასკვნას, არის თუ არა ნაშრომი მზად გადაეცეს რეცენზენტს, ამ ეტაპზევე წარმოადგენს პლაგიატის შესახებ დასკვანს. საკორპორაციო სამართალთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინაპირობა არ აქვს აღნიშნულ სასწავლო კურსს განსაზღვრული, რადგან სამართალთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსი პროგრამაში არ არის. ხოლო შედეგებთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაკორექტირდეს შედეგების ფორმულირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო: 17:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპის უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევროპის უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1.2 რეკომენდებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები.
2.3 სასწავლო კურსების შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან (მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები; გლობალური სტრატეგიები და კონკურენტული უპირატესობების მართვა; პროექტების მართვა მენეჯერებისათვის;).
2.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საკორპორაციო სამართლი" მიზნები და შედეგები დაზუსტდეს პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

რჩევები:
2.1 სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაზუსტება.

3. მესამე საკითხი:

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი და ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი Master in Economics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

18:45 საათზე სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის დირექტორის 2021 წლის №345203 ბრძანების შესაბამისად 2021 წლის 14 მაისს განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე შედგა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი ვიზიტი ონლაინ რეჟიმში. 2021 წლის 14 მაისს ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა.
სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (Journal of Economic Literature) კლასიფიკაციის თანახმად პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“ ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, ექსპერტთა აზრით, აღნიშნული განმარტება არარელევანტურია, კერძოდ, პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი უნდა იყოს. ასევე, აღნიშნულია, რომ პროგრამით გამომუშავებული უნარების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. რადგან სამართალი რეგულირებადია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული სამართლის მიმართულებით ვერ შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. შესაბამისად პროგრამის დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მაგისტრანტობის კანდიდატი.
2. პროგრამის შინაარსი უფრო ინტერდისციპლინურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გაძლიერდეს ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსებით, რომელთა დამატება უფრო მდგრადს გახდის პროგრამას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით.
3. სასწავლო კურსის სილაბუსები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
4. პროგრამა გაძლიერდეს მაპროფილებელი დარგის აკადემიური პერსონალით.
5. პროგრამაზე მიღება საჭიროებს პროგრამაზე სწავლის მსურველ პირთა გარკვეული უნარების არსებობას, სასურველია, გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის ჩარჩოში, რამდენად არის შესაძლებელი, მომზადდეს „ეკონომიკის მაგისტრის“ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც გაათვითცნობიერებს სამართლისა და ეკონომიკის ძირითად ასპექტებს სიღრმისეულად და, საბოლოო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შეძლებს სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის ეკონომიკურ ანალიზს. გამომდინარე აქედან, სასურველია, პროგრამაში განისაზღვროს წინაპირობები პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის, კერძოდ, დაწესდეს აღნიშნულ პირთა გარკვეული კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

6. სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის სამართალში აუცილებელი ცოდნის (სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის) მიღების შესახებ სწავლის შედეგის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი გაძლიერდეს შესაბამისი სამართლის საგნებით ან განხორციელდეს სწავლის შედეგის კორექტირება პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სამართლის საგნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა განმარტა, რომ თავისთავად ეკონომიკური თეორია ვაკუუმში არ არსებობს და მაგალითად, შესაძლებელია საუბარი გადასახადების ზრდაზე ან შემცირებაზე, მაგრამ ეს სრულიად იქნება აზრს მოკლებული თუ არ იქნება გათვალისწინებული პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოება. ისტორიაში ცნობილია, რომ ზოგიერთი გადასახადის დაწესების შედეგად რევოლუციებიც კი ხდებოდა, ამიტომ როდესაც ეკონომისტი მსჯელობს რეალურ სამყაროზე, მას ბუნებრივად უწევს მსჯელობა პოლიტიკურ ფაქტორებზე და სამართლებრივ ფაქტორებზე. როდესაც ეკონომიკური თეორია განვითარდა, გარკვეულ ეტაპზე გასაგები გახდა, რომ მისი დამოუკიდებელი არსებობა იყო აზრს მოკლებული და პრაქტიკულად არ არის სასარგებლო.დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე მეტია, ამერიკაში დაიწყო და ზოგადად მსფოფლიოს მაშტაბით ვითარდება ეკონომიკის თეორიის ისეთი მიმართულებები, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ ფილოსოფიას და ამ შემთხვევაში სამართლის ნაწილს. დაახლოებით 60-იანი წლებიდან, როდესაც რიჩარდ პოსნერმა და გერი ბეგერმა, სხვადასხვა მხრიდან მაგრამ ერთი ამოცანა დააყენეს, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ ეკონომიკური განათლება და წარმოდგენა ჰქონდეთ ეკონომიკურ ლოგიკაზე. რიჩერდ პოსნერი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოსამართლე, 2017 წლამდე იყო ფედერალური აპელაციის მოსამართლე ამერიკაში და გერი ბეგერი ნობელის ლაურეატია ეკონომიკაში. იურისტისა და ეკონომისტის აქტიურობით ჩამოყალიბდა ეს მიმართულება. სამართალი და ეკონომიკა, ეს არის მიმართულება ეკონომიკაში, ეს არ არის ცალცალკე აღებული ეკონომიკა და სამართალი. მიმართულება წარმოიაშვა, როგორც მოსამართლეებისთვის რჩევები და განმარტებები, როგორ მოიქცნენ ისინი სასამართლო პროცესის დროს, თუმცა მერე გასაგები გახდა, რომ ეს შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო ფართო საკითხების მიმართ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი ინტერესი 10 წლის წინ ჩამოყალიბდა, ჯერ იყო ცალკეული ლექციები, შემდგომ სამართალი და ეკონომიკის კურსს კითხულობდა და საბოლოო ჯამში, გამომდინარე იქიან, რომ საქართველოში დიდი საჭიროება ამდაგვარი პროგრამის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთან ერთად გადაწყდა ასეთი პროგრამის შექმნა. პროგრამის საჭიროება გამომდინარეობს, მაგალითად ნებისმიერ რეგულაციას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თანახმად სჭირდება რეგულაციის გავლენის შეფასება, მაგალითად როდესაც მთავრობა დააწესებს პირობითად სათამაშო ბიზნესზე რეგულაციებს, ამას მოჰყვება გარკვეული ეკონომიკური შედეგები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ ქმედებას სანამ ეს გაფორმდება, როგორც კანონი მოჰყვეს სათანადო ანალიზი. პროგრამა ფაქტობრივად ამაზე არის მორგებული. პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა არამარტო ეკონომიკაზე არამედ უფრო ფართო ხედვა ამ პროცესის, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება და რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას. არამხოლოდ რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური მოდელი გამოიყენოს და პასუხი გასცეს, რაღაც პრობლემას, არამედ რეალურ სამყაროში არსებული კანონმდებლობის სფეციფიკა იქნება თუ ფორმალური და არაფორმალური ნორმებით, უფრო რეალისტური გახადოს მისი დასკვნები. პროგრამა ამაზეა აწყობილი. დაწესებულების წარამომადგენელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციაში ნახსენებია „აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული სამართლის მიმართულებით ვერ შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე“ რაც ბუნებრია, რადგან პროგრამა არ არის სამართლის, ეს არის ეკონომიკის პროგრამა, სადაც ისწავლება ეკონომიკა, თითქმის მთლიანად შედგება ეკონომიკური საგნებისგან და არის მხოლოდ ორი სამართლის საგანი, რომლებიც არის სფეციფიკური საგნები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მიმართულება ეკონომიკაში წარმოიშვა, როგორც მოსამართლეებისთვის გაკეთებული, რადგან მოსამართლეს ამერიკაში დიდი დისკრეცია აქვს გადაწყვეტილების მიღებისას, ის შეზღდულია არამხოლოდ კანონებით, არამედ ფაქტობრივად, შეიძლება თვითონ იყოს ნორმების ავტორი ამიტომ მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან არამხოლოდ იურიდიულად

კორექტული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, არამედ იფიქროს რა ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ყველაზე ფართო გამოყენება ამას ჰქონდა ანტიმონოპოლიური რეგულირების დროს, როდესაც იურისტებმა აღმოაჩინეს, რომ 60-იანი წლების ამერიკაში მათი წარმოდგენები მონოპოლიებზე, საერთოდ არ არის შესაბამისობაში ეკონომისტების წარმოდგენასთან. ისე მიმდინარეობდა ათწლეულების განმავლობაში სასამართლო პროცესები, რომ ფაქტობრივად მოწყვეტილი იყო ეკონომიკურ თეორიას. სწორედ მაშინ მთავრდება მონოპოლიასთან ბრძოლა და იწყება ბრძოლა მონოპოლიურ ქცევასთან. ტრადიციულად ანტიმონოპოლიური რეგულირება სამართალი და ეკონომიკის მიმართულებაშ ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. პროგრამაში ასევეა აწყობილი საგნები, მიკრო ეკონომიკა და მაკრო ეკონომიკა ფაქტობრივად ისეთ თემებზეა ფოკუსი თითოეულ სილაბუსში, რომელიც მართლა მნიშვნელოვანია სამართალი და ეკონომიკის მიმართლებით. ეკონომიკა არის ძალიან ფართო სფეროა, ფაქტიურად შეუძლებელია მაგისტრატურაზე ისწავლებოდეს ყველაფერი რაც ეკონომიკაშ ხდება, მაგრამ ეს არის კონრეტული მიმართულება ეკონომიკის, რომელსაც სჭირდება კონკრეტული ცოდნა და უნარები, ასევე რაც მთავარია ადამიანს შეეძლოს კვლევების ჩატარება, გამოუმუშავდეს კვლევითი უნარები რადგან გამოყენებადობა ძალიან ფართო აქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გარდა პრინციპების და მიდგომებისა ჰქონდეს კვლევის უნარი. კურიკულუმი აწყობილია ისე, რომ ყველა ეტაპის შემდეგ არის კვლევა. მაგალითად ეკონომიკური მოდული და შემდეგ კვლევითი სემინარი, სამართლის მოდული და შემდეგ ისევ კვლევითი სემინარი, რეგულირების გავლენის შეფასება და საბოლოო სადიპლომო ნაშრომი. ეს არის ზოგადი იდეა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად (მუხლი 6.1) არჩეული უნდა იქნას ისეთი დასახელება, რომელიც ზუსტად ასახავს შინაარს. ნებისმიერი სხვა დასახელებაა დააშორებდა მიზნისგან. ჩამოყალიბებულია კონკრეტული სფეციფიკური მიმართულება და მოყვანილი კლასფიკატორი (Journal of Economic Literature), ეს არის ეკონომიკაში ყველაზე მიღებული კლასიფიკატორი და იქ არის ნახსენები ეს როგორც ცალკე მიმართულება. ეს მიმართულება ეკონომიკაში დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა და ზუსტა ამ მიმართულებით ამზადებს პროგრამა სტუდენტს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო ნახსენები, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია. რაც ტექნიკურად არ არის სწორი რადგან კრედიტების 87% არის ეკონომიკაზე, არის მხოლოდ 2 სამართლის საგანი. სამართლის საგნის არსებობა განპირობებულია სწორედ ამ პროგრამის სფეციფიკით და ამიტომ უნდა იცოდეს სტუდენტმა მოსამართლის ფუნქცია, მოსამართლის ხედვა და სხვადასხვა პრინციპები, როგორი შეიძლება იყოს მიდგომა კანონისადმი და ა.შ. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არსებობს მოსაზრება, რომ რაც კანონში წერია ყველაფერი სიმართლეა და არ ექვემდებარება გადახედვას. ზოგადად ის ფაქტი, რომ შესაძლებელია კანონებში იყოს შეცდომები და კრიტიკულად გადავხედოთ და ეკონომიკური გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ამ კანონების ცვლილების მიზეზი ეს უნდა იყოს გასაგები მათ შორის სტუდენტისთვის. ამიტომ არის დამატებული ორი სამართლის საგანი, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამავდროულად თუ ვიმსჯელებთ, რომ შესაძლებელია თუ არა კიდევ ეკონომიკური საგანის დამატება და თუ 87% ცოტაა, თუმცა ეს უკვე პირდაპირ დააზიანებს პროგრამას, რადგან ამ შემთვევაში იქნება აბსოლიტური დანახარჯი. მიმართულება შექმნილია მოსამართლებისათვის და შეუძლებელია მოსამართლებზე არ იყოს არაფერი ნახსენები პროგრამაში, ამიტომ ეს საგანები აუცილებელია. ეკონომიკა ძალიან ფართო სფეროა, შეუძლებელია ყველაფრის დაფარვა, ამიტომ დიდი ნაწილი შედგება კვლევითი ელემენტებისგან, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეისწავლოს ის საკითები, რომელიც შეიძლება იყოს მისთვის საინტერესო მაგრამ პროგრამაში არ შედიოდეს. ამრიგად ადწესებულების წარმომადგენელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია. ეს არის ეკონომისტის მაგისტრი, სადაც კონკრეტული მიმართულების ეკონომიკური სფეციფიკიდან არის ორი სამართლის საგანი, რომლებიც აუცილებელია, რომ სათანადო უნარები და ცოდნა გამოიმუშაოს სტუდენტმა. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მესამე ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თავად დაწესებულების წრამომადგენელი წლებია ასწავლის მიკრო ეკონომიკას და ჰელ ვერიანის წიგნს იყენებს ძალიან აქტიურად, ამიტომ დარწმუნებულია, რომ 2010 და მომდევნო გამოშვებებს შორის არანაირი პრინციპული, შინაარსობრივი განსხვავება არ არის. ამიტომ იყო მითითებული მაგალითად ეს სახელმძღვანელო. ძირითადად სახელმძღვანელოების განახლებული ვერსიები, ძალიან პრინციპულ განსხვავებას არ მოიცავს. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთის მხრივ პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე არის ის, რომ პროგრამის უკან დგას მთელი უნივერსიტეტი თავისი პროფესორებით და თუკი ამის საჭიროება დადგება, ყოველთვის იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ პროგრამაზე იყოს დამატებითი პერსონალი. რადგან პროგრამა დაიწყება შემდეგი აკადემიური სასწავლო წლიდან, სრულად დაიფარება ყველა საჭიროება, რაც შეიძლება ჰქონდეს აკადემიურ წელს. მიმდინარეობს პროცესები, მათ შორის გაფრომებულია

ეკონომიკის ლექტორი, რომელიც ასევე აღნიშნულია და წინასწარ გაკეთდა. აღნიშნულ რკეომენდაციას არ ითვალისწინებს ინსტიტუცია, რადგან ერთის მხრივ ფაქტობრივად ისედაც შესრულებელია და ასევე არ არის ამის საჭიროება, რომ კიდევ დამატებითი ნაბიჯები გადაიდგას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება წინაპირობებს და აღნიშნა, რომ წინაპირობები მკაფიოდ არის გაწერილი. გარდა იმისა, რომ ინგლისურის ცოდნა არის საჭირო, ასევე გასაუბრება უნდა გაიაროს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ვიდეო ლექციების კურსი ეკონომიკაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მსურველისათვის. სადაც შესაძლებელია მინიმალური ცოდნის გაცნობა ეკონომიკაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ აღნიშნული კურსი დაიწყოს. გასუაბრებაზე ეს იქნება შემოწმებული და ბუნებრივია, შანსი იმისა, რომ შესაძლებელი იყოს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველმა არაფერი იცოდეს გამორიცხულია, გარდა ამისა მას ექნება წინასწარ ჩაბარებული სამაგისტრო გამოცდა, ამიტომ ის იქნება მომზადებული სწავლა დაიწყოს აღნიშნულ პროგრამაზე. ასევე თუ გადავხედავთ განსაკუთრებით პირველი მოდულის საგნებს მიკრო და მაკრო ეკონომიკას ვნახავთ, რომ სილაბუსები ისეა აწყობილი, რომ პროგრამაზე შეიძლება სწავლობდნენ სხვადასხვა განათლების ხალხი (ექიმი, ეკონომისტი, იურისტი, ფიზიკოსი) და შეძლონ დაიწყონ შედარებით დაბალი დონიდან მაგრამ საბოლო ჯამში სილაბუსის განვითარება ისე არის აწყობილი, რომ მაგისტრანტები გავიდნენ პროგრამისთვის სასურველ შედეგებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ ერთის მხრივ არსებობს ფილტრი და მეორეს მხრივ პროგრამის სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, რომ სხვდასხვა დონის სტრუდენტები, რომლებიც იწყებენ სწავლას გათანაბრდნენ სწავლის პროცესში. მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მოყვანილი ერთ-ერთი გარემოება სამართლის გაძლიერება წინააღმდეგობაში მოდის სხვა რეკომენდაციასთან, რადგან სხვა რეკომენდაციაში საუბარია ეკონომიკის მიმართულებით გაძლიერებაზე. შედეეგები, სწორედ ის ტიპის შედეგებია, რომელიც საწიროა იმისათვის, რომ ამ დარგში ჰქონდეს საკმარისი კომპეტენციები კურსდამთავრებულს. მაგლითად ხედავდეს სამართლის ფილოსოფიიდან გამომდინარე განსხვავებულ მიდგომებს ერთი და იგივე პროგლემის მიმართ და პროგრამას მოყვანილი ორი საგანი სრულიად საკმარია იმისათვის, რომ ეს სფეციფიკური უნარჩვევები გამოუმუშავოს კურსდამთავრებულს. დაწესებულების წარმომადგენელმა მისი მოსაზრებით სავსებით შესაძლებელია, რეკომენდაციაში მოხსენიებული საგნები გავიდეს განსაზღვრულ შედეგებზე. მან ასევე განმარტა, რომ სანამ, აღნიშნული პროგრამა შეიქმნებოდა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩაატარეს ფართო კვლევა, მათ შორის სხვა პროგრამების, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში არის. პროგრამა არის ეკონომიკური, ბევრი ეკონომიკური საგანით და სხვადასხვა ტიპის სამართლის საგანებით, რომელიც უშუალოდ მიზანზეა მიმართული და ეს საგნები უნდა იყოს შედარებით მცირე რაოდენობით. სხვა უნივერსიიტეტებში ასეთი საგნებით პროგრამები გადაინ სასწავლო შედეგზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები თავისი შინაარსით მძიმეა, თუმცა შეფასება შედარებით მსუბუქი, აქედან გამომაიდნარე, რომ დაზუსტდეს ექსპერტა პოზიცია. ასევე საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ ყველანაირი ინოვაცია და სიახლე მისასალმებელია, თუმცა სამართალი და ეკონომიკა ქარული ენის სემანტიკიდან გამომდინარე ნიშნავს, რომ პროგრამა ინტერდისციპლინარულია. თუმცა მინიჭება ხდება 03/11 ში, ანუ ეკონომიკის მაგისტრი. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კრედიტების რაოდენობა საკამოდ დიდია ეკონომიკურ დისციპლინებში. ასევე მან განმარტა, რომ მისთვის გაუგებარია კრედიტების განაწილების წესი, გასაგებია, რომ ფორმალურად საათების რაოდენობაა დაცული, თუმცა ასეთი სხვაობა დისციპლინებს შორის გაუგებარია. ასევე, ხომ არ აჯაობებდა პროგრამის სათაურის მოდიფიცირება და ეს ასევე მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში. მაგალითად კანონმდებლობის ეკონომიკური ანალიზი, საკანონმდებლო გადაწყვეტილების გავლენის ეკონომიკური ანალიზი და მოიხსნებოდა დუალისტური შეგრძნება, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია. გაკეთდებოდა ცალსახა მინიშნება. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება ინსტიტუციის წარმომადგენლებს, რომ გავლენის მომხდენი საგნები ცოტა ხნის წინ არის შემოტანილი, რაც მნიშვნელოვანია. ზოგადად ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება წინასწარ უნდა გადიოდეს ეკონომიკურ ანალიზს, თუმცა ამისათვის საჭიროა შესაბამისი ჩარჩო, რათა შემოწმდეს რა შედეგები შეიძლება დადგეს. საბჭოს წევრის მოსაზრებით, სათაურში უფრო ზუსტი ასახვა ბევრ პრობლემას მოხსნიდა და დარჩებოდა ტექნიკური ხასიათის პრობლემები. საბწოს წევრი დაინტერესდა როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ კონცეპტუალურად საინტერესოა პროგრამების ასეთი ახალი ხედვა და განათლების მიღების ინტერდისციპლინარული მიმიმართულება ძალიან აქტუალურია. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მიესალმება ასეთ მიმართულებებს კლასიკურთან ერთად. თუმცა ,საინტერესოსთან ერთად ის გარკვეულ სირთულეებსაც ქმნის და ეს ყოველთვის გასათვალისწინებელია. მაგალითად სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხება აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე, თუკი ის საბაკლავრო განათლებით არის ეკონომისტი, მისთის ისეთი საგნები, როგორიც არის მაკრო ეკონომიკა, მიკრო ეკონომიკა და ა.შ ძალიან ფუძემდებლური ხომ არ არის? რადგან მას ეს საგნები უკვე ნასწავლი და გავლილი ხომ არ აქვს. ამიტომ ასეთი ინტერდისციპლინარული მიმართლებები ძალიან ხშირად საჭიროებს წინაპირობების დადგენას, რომ არ იყვნენ ისეთი პირები მოსული, რომლებსაც ნასწავლი აქვთ კონკრეტული საგნები და უწევთ მეორეჯერ გავლა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გასაგებია კონტ არგუმენტიც, რომ ინსტიტუცია თავაზობს პროგრამას და სტუდენტის სურვილზე არის დამოკიდებული ჩააბარებს თუ არა აღნიშნულ პროგრამაზე. თუმცა ამის პასუხად საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ყველაფერს აქვს ფილტრი მათ შორის არის სამაგისტრო გამოცდები და დგინდგება გარკვეული უნარები. ამიტომ საბჭოს წევრის მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანია დადგენილი იყოს ისეთი ფილტრი, რომლითაც არ იქნება შესაძლებელი მაგისტრატურის და ბაკლავრიატის საგნები გადაიფაროს. მაგალითად სტუდენტს, რომელსაც სურს ჩაირიცხოს პროგრამაზე, აუცილებლად უნდა იყოს დაკვალიანებული რა დონის და რა დონის კომპეტენციის ადამიანი უნდა მოვიდეს პროგრამაზე. გარდა ამისა საბჭოს წევრმა ისაუბრა, რომ განსაკუთრებით დიდი აქცენტებია დასმული სამართლის ეკონომიკურ ასპექტებზე და უფრო ბევრი დრო სჭირდება, რაც მისასალმებელია. ასევე სამოსამართლეო სამართალი და ზოგადად მოსამართლეებთან დაკავშირებული საკითხები მნიშნელოვანი არის, თუმცა ამ შემთვხვევაში უნდა იყოს ნათელი, ვისთვის არის განკუთვნილი ეგ პროგრამა. თუ იურისტებისთვისაც არის მაშინ სამართლის საგნები გადასახედი შეიძლება იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და გაიცხრილოს, რა უნარების ადამიანმა უნდა ისწავლოს ამ პროგრამაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორია დაწესებულების წარმომდგენლების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ინსტიტუციას და განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ხშირად აღნიშნეს მსგავსი პროგრამები ამერიკასა და ევროპაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თუ თანამშრომლობს ინსტიტუცია, რომელიმე უცხოურ პროგრამასთან და პროგრამის ამგვარი დიზაინი, რომ უფრო მეტად იყოს ეკონომიკა და ნაკლები სამართალი, რის საფუძველზე ფორმირდა. რადგან მისი განმარტებით, ხელშეკრულებები, რომელსაც გაეცნო იყო საქართველოს უნივერსიტეტსა და სხვა კონკრეტულ უნივერსიტეტებს შორის.

საბჭოს წევრი, ელენე ჭალაგანიძე დაინტერესდა ბენჩმარკინგის დოკუმენტთან დაკავშირებით . აღნიშნა, რომ ინსტიტუციას შესწავლილი აქვს დასავლური გამოცდილება, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საბჭოს წევრმა ვერ ნახა ბენჩმარკინგის დოკუმენტი და თუ არის შესაძლებელი წარმოადგინოს აღნიშნული.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვლიმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით პირველი რეკომენდაცია ძალიან მწვავეა და შესაბამისად შეფასება სტანდარტების მიმართ თანხვედრაში არ არის. ამიტომ მნიშნელოვანია ამ რეკომენდაციების ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით გაბათილდეს ან შეფასებასთან დაკავშირებით უნდა გაკეთდეს განაცხადი, რომელიც შესაბამისობაშ იქნება კონკრეტულ რეკომენდაციასთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვლიმა აღნიშნა, რომ ამერიკის მაგალითი ამბობს, რომ მსგავსი პროგრამები ხორციელდება და უფრო უმეტესი წილი ამ პროგრამების სამართლის მიმართულებით ხორციელდება ხოლმე და სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციას ანიჭებს, თუმცა ევროპული გამოცდილება, მაგალითისთის გასეტის უნივერსიტეტში ეკონომიკის მიმართულებით ხორციელდება ბიზნეს სკოლებიდან. თუმცა ამ ტიპის პროგრამებში ეკონომიკური საგნები უფრო მსხვილად არის წარმოდგენილი, როგორც შინაარსობრივად ისე ჩამონათვალის დონეზე. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს უფრო დაეზუსტებინათ არჩევანი და ის თუ რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა არჩევით საგნებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში არის 96 კრედიტი სავალდებულო კომპონენტი, არჩევითი კომპონენტისთის რჩება 24 კრედიტი. თუმცა, არჩევით საგნებში შეთავაზებულია მხოლოდ სამი საგანი, ორი 12 კრედიტიანი და ერთი 6 კრედიტიანი. თუ 24 კრედიტი უნდა აითვისოს სტუდენტმა, 6 კრედიტიანი საგანი ავტომატურად ამოვარდნილია. აქედან გამომდინარე დარღვეულია არჩევითობის პრინციპიც. საბჭოს წეევრმა სთხოვა ინსტიტუციის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა პოზიციები. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მათ ქონდათ უფრო მწვავე შეფასება, თუმცა შეჯერდა პოზიციები და გადაწყდა, რომ ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა ინსტიტუციისთვის დაედასტურებინათ და წარმოედგინათ თავისი ხედვა და შესაძლებლობა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას ჯერ კიდევ არ ჰყავს სტუდენტი. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკური პროცესები დინამიკაშია და ყოველდღიურად იცვლება, ის რომ 5-10 წლის წინანდელ სახელმძღვანელოში არაფერი არ არის შეცვლილი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ამაში ვერ დაეთანხმება დაწესებულებას, გამომდინარე ასევე იქიდან, რომ B2 დონეზე ინგლისურ ენას აბარებს მაგისტრანტობის კანდიდატი, სწავლებაც ხდება ინგლისურ ენოვანი წიგნებიდან და სათარგმნი ლიტერატურა არ არის, ამიტომ ძალიან მარტივად არის შესაძლებელი წიგნების განახლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება საბჭოს წევრის პოზიციას სახელის სხვაგვარ ფორმულირებასთან დაკავშირებით, რადგან ეს იქნება სტუდენტის მოტყუება. ამ მიმართულების სხვაგვარი ქართული თარგმანი არ არსებობს და ასე უნდა ერქვას აღნიშნულ მიმართულებას. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, თუკი სტუდნეტი გაეცნობა პროგრამის რამდენიმე აბზაცს, მისთვის გასაგები იქნება, რომ ეს ეკონომიკის მაგისტრია. ნებისმიერი სხვა დასახელება იქნებოდა შეცდომაში შემყვანი. კრედიტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგულირების გავლენის შეფასება შრომატევადი საქმეა და ზოგადად თუ სტუდენტი თავიდან ბოლომდე შეძლებს ეს იქნება მისასალმებელი, თუმცა სინამდვილეში ამას როგორც წესი ბევრი არ არსრულებს, ამიტომ ეს არის რთული ნაწილი, არამარტო ცოდნა უნდა გამოიყენოს არამედ ძალიან ბევრი დამოუკიდებელი შრომა აქვს ჩადებული და ეს პირდაპირ არის ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ დიდი ხანია ასწავლის აღნიშნულ საგანას და ესმის ზოგადად როგორი რთულია, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია კრედიტების ასეთი განაწილება. გარდა იმისა, რომ პრაქტიკაში ძალიან რთულია პროცესი, რეგულირებას შესაძლოა დასჭირდეს ბევრი კვლევა, რათა გავლენები იყოს შეფასებული, რაც მრავალ საათიან შრომასთან არის დაკავშირებული. ასევე მიმართულება თავისი ჩარჩოებით, მეთოდოლოგიით და პრინციპებით ჩამოყალიბდა ამერიკაში 60-იანი წლებიდან დაწყებული, ამიტომ არის ეს მიმართულება. თუმცა ბუნებრივია ნებისმიერი იდეეის და მიმართულების ფუნდამენტს ბევრ სხვა მეცნიერების ნაშრომებშიც ვიპოვით. კონკრეტული და ვიწრო ნაწილი ეკონომიკის ჩამოყალიბდა ამერიკაში დაწესებულების წარმომადგენლის მეირ ზემოთ ნახსენები სფეციფიკით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამა არ არის ინტერდისციპლინირებული, ეს არის ეკონომიკის მაგისტრის პროგრამა. რაც შეეხება სტუდენტების შესაბამის ცოდნას, თეორიულად შესაძლებელია, რომ ყველამ ყველაფერი იცოდეს, მაგრამ სამართლის ნაწილი ძალიან მარტივია, ეს ყველაფერი ხორციელდება მეორე მოდულში, ისწავლება კონკრეტულ გარემოში და თემების ფაგლებში, ეს არ არის მხოლოდ ერთი მიმართულების და თეორიის სწავლება, ეს ერთი ნაწილია. ეკონომიკას რაც შეეხება ჰელ ვარიანი არის საწყისი დონის სახელმძღვანელო, არის შესავალი ეკონომიკაში და ა.შ. სილაბუსი არ უნდა ფასდებოდეს უბრალოდ თემის დასახელება. ელასტიურობა შეიძლება ისწავლებოდეს ბაკალავრიატის პირველ კურსზე და დოქტურანტურაშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე გაამახვილა ყურადღება, რომ ეს არ იყო ინტერდისციპლინური პროგრამა, თუმცა ასევე აღნიშნულ პროგრამაში შეიძლება იყოს ექიმიც, ფიზიკოსიც და დარგის წარმომადგენელიც. წარმომადგენლმა ხაზი გაუსვა, რომ მოხარული იქნება თუ პროგრამაზე ექიმები და ფიზიკოსები იქნებიან, რადგან მისი გამოცდილებით ყველაზე კარგი სტუდენტები არიან, ხოლმე ამდაგვარ პროგრამაზე, რადგან მათ, როგორც წესი, არამარტო ფუნდამენტური ცოდნა აქვთ, არამედ გააჩნიათ კომპლექსური ხედვის უნარები. მანა ასევე ისაუბრა, რომ სილაბუსები შედგება ბევრი ელემენტებისგან. მაგალითად, რომ გადავხედოთ მიკრო და მაკრო ეკონომიკის სილაბუსი იქნება შედარებით მარტივი თემები, მაგრამ მერე შემოდის სულ სხვა თემები, მაგალითად დიდი ფოკუსი არის გაკეთებული ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე, მაკროეკონომიკაშ მომენტალურ პოლიტიკაზე, რომლებიც ბაკალავრში არ ისწავლება ისე სიღრმისეულად, როგორც ეს აღნიშნულ პროგრამაშია, იგივე შეიძლება ითვქას სამართლის საგნებზე. ამიტომ, წარმომადგენელი განმარტას, რომ აქ მხოლოდ დასახელებებით ვერ გამოვალთ, გასაგებია, რომ ვიღაცამ რაღაც შეიძლება იცოდეს რაც ბუნებრივია, შესაძლებელია ბაკლავრი გენიოსი სტუდენტი იყოს და ბევრად მეტი ისწავლოს ვიდრე 51 ქულის დაგროვებისთვის სჭირდება ან თუნდაც 99, მაგრამ საბოლოო ჯამში თუ გადავხედავთ, როგორ არის ზოგადად ბაკალავრიატი აწყობილი ქვეყნაში, არ მოიძებნება ისეთი ბაკლავრი, რომელიც იტყვის, რომ ყველაფერი იცის. როდესაც ინსტიტუციის წარმომადგენლების მიერ ხდებოდა გამოცდილების შესწავლა საქართველოში, იყო თუ არა მსგავსი პროგრამა, ეს საკითიც განიხილა. დაწესებულების წარმომადგენელმა თანამშრომლობასთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ამ მომენტისთვის არ თანამშრომლობენ, რადგან პროგრამის ხელმძღვანელის პირადი მიდგომა არი

ასეთი, რომ ჯერ დაიწყოს პროგრამა და უშუალოდ მერე დამყარდეს თანამშრომლობა, ეს იქნება გაცვლითი პროგრამები თუ სხვა ტიპის კომუნიკაცია. მითუმეტეს უნივერსისტეს ამისი დიდი გამოცდილება აქვს და ეს არ იქნება შემდგომში რთული. თუმცა წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ გადახედა წარმოდგენილ დოკუმენტებს და შრომის ბაზრის კვლევაში ნათლად არის მითითებული უნივერსიტეტები, რომლის პროგრამა იყო დაახლოებული, ჩამოთვლილია სამი ევროპული და ერთი ამერიკული უნივერსიტეტი, ყველა საკმაოდ რეიტინგულია. ბაზრის კვლევაში ნათლად არის მითითებული თუ რა ანალიზი გამოიტანეს დაწესებულების წარმომადგენელბმა აღნიშნული პროგრამების კვლევისას და რა ცვლილებები შეიტანეს უშუალოდ სამაგისტრო პროგრამაში. ასევე კითხვა, ამერიკული თუ ევროპული მოდელი აირჩია ინსტირუციამ აღნიშნულ პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს სხვადასხვა ტრადიციები, მაგრამ ამ პროგრამების აბსოლიტური უმრავლესობა ეკონომიკას ეხება და უმცირესობა სამართალს, თუმცა შესაძლებელია ამას სხვადასხვა მხრიდან შევხედოთ. პროგრამების რეიტინგებშიც ეკონომიკის დარგის რეიტინგებია ხოლმე, თუმცა ბუნებრივია, რომ სამართალსაც ეხება. რაც შეეხება თემებს, წარმომადგენელმა განმარტა, რომ უფრო ზოგადი მიმართულების პროგრმაა და ეს მარტივად ახსნადია, ისევ შრომის ბაზრის კვლევიდან ეს არის გასაგები. ევროპაში თუნდაც იგივე „რიას“ გაკეთების კუთხით, თუნდაც უნივერსიტეტების განათლების სისტემის, შრომის ბაზრის განვითარებიდან გამომდინარე ბევრად უფრო დიდი მოთხოვნაა ამდაგვარი სპეციალისტებზე და ამიტომ სტუდენტებს აქვთ ფუფუნება გააკეთონ ვიწრო სპეციალიზაცია. მაგალითად სამართალი და ეკონომიკის პროგრამა შეიძლება იყოს სპეციალიზებული მხოლოდ ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე და ამიტომ გასაგებია, რომ იქ ვხედავთ დიდ მრავალფეროვნებას. დაწესებეულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი მოთხოვნა დაწესებულების მიმართ არ არსებობს და ინსტიტუციის წარმომადგენლები იძულებულები არიან უფრო ფართო სპეციალისტი მოამზადონ, რომელსაც შეიძლება ნაკლები ცოდნა ქონდეს ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე როგორც ასეთი, მაგრამ უფრო მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. არჩევით საგნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ გაუგეებრობაა, რადგან პროგრამაზე არის 6 არჩევითი საგანი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთი გივიშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ ისარგებლა ერთჯერადი ცვლილების გამოყენების უფლებით და შეივსო არჩევითი საგნების ბლოკი. ამჟამად წარმოდგენილია 6 საგანი ჯამში 48 კრედიტით.

სხდომის თავმჯდომარემ დაინტერესდა აღნიშნული ცვლილბა, როდის განხორციელდა, ექსპერტების ვიზიტამდე თუ ვიზიტის შემდგომ?

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშილმა განმარტა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდგომ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან კანონი არ აძლევს ინსტიტუციას შესაძლებლობას შემდგომ შეიტანოს ცვლილბებეი. განხორციელდა ვიზტამდე, ვიზიტის პერიოდში მინისტრის ბრძანება იძლევა შესაძლებლობას, ერთჯერადად ჩასწორდეს ყველა ტიპის დოკუმენტი, მაგალითად განხორციელდეს ცვლილება, რა უფლებითაც ისარგებლა ინსტიტუციამ, რადგან ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩინეს და შესაბამისად ეს ჩასწორდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთი გივიშვილმა დაამატა, რომ ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ შეცვლილი ვერსიით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშილმა ასევე განმარტა, რომ გაუგებარია შედარებითი ანალიზის დოკუმნტი, რატომ არ არის წარმოდგენილ ტოკუმენტაციაში, რადგან ჯერ კიდევ შესწორებამდე, თვითშეფასებაში განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად იყო წარმოდგენილი. წარმომადგენელმა ასევე უპასუხა საბჭოს წევრების შეკითვებს და მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია აღნიშნულ პროცედურებზე, მისი მოსაზრებით არ უნდა გავცდეთ სამართლებრივ ჩარჩოებს და ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ფაქტებს. მაგალითად ექსპერტებმა გააკეთეს ასეთი შეფასება, რომ შეაფასეს კარგად, მაგრამ შინაარსობრივად დოკუმენტი იყო მძიმე. ამ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქვს კითვა თუ როგორ მოხდა ასეთი რამ, იქიდან გამომდინარე, რომ თუ შინაარსობრივად პრობლემა აქვს პროგრამას ეს ექსპერტების დოკუმენტში ასახული არ არის. თუ საუბარია რეკომენდაციის სიმძმეზე, მაშინ ეს სადღაც უნდა ჩანდეს, მათ მიერ შეფასებულ შესაბამის დოკუმენტში, რომ პროგრამა შედეგებზე ვერ გადის. ექსპერტები პირიქით, პროგრამაზე მიუთითებენ, რომ შედეგზე გადის, შესაბამისად ინსტიტუციის წარმომდგენლისათვის უცნაურია, რატომ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული აზრი იმგვარად თითქოს ეს, რაღაც სირთულეს წარმოადგენს. ასევე როდესაც საუბარია სათაურით გამოწვეულ დაბნეულობებზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრე იყო უფრო მეტი დისკრეცია, რომ გემოვნებიდან გამომდინარე შერჩეულიყო, მაგრამ ახლა კანონმა განსაზღვრა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სათაური. ამ შემთვევაშ საკვალიფიკაციო, ნორმატიული აქტის მიხედვით მე-9 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ ანიჭებს უფლებამოსილებას შერჩეულ იქნას სფეროდან და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელი სათაური და

აქედან გამომდინარე შეირჩეს გემოვნებიდან გამომდინარე პროგრამის სათაური. რათქმაუნდა ამ თვალსაზრისით, ასევე შესაძლებელია, რომ გასცდეს დეტალურ სფეროსაც პროგრამის სათაური, შესაბამისად ამ შემთვევაში რატომ გახდა სათაურის საკითხი განხილვის საგანი, მითმეტეს როდესაც საუბარია, რომ ამან შეიძლება დაბნეულობა გამოივწიოს. ეს ვერ გამოიწვევს იმ ადამიანის დაბნეულობას, რომელსაც აკადემიური განათლების ერთი საფეხური აქვს უკვე დამთავრებული, რომელიც სათაურთან ერთად აუცილებლად გაეცნობა პროგრამის შინაარს. რაც შეეხება პროგრამის შინაარს, დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრს, თუ სად არის მითითებული, რომ უშუალოდ რა ტიპის კომპეტენციები შეუძლია განუვითარდეს სტუდენტს? პროგრამის მიზანში, სადაც პირდაპირ წერია, რომ პროგრამა ამზადებს ეკონომისტს და სწავლის შედეეგბში. მიზანი უნდა განსაზღვრავდეს შემაჯამებელ ფაქტორს, მაგალითად თითოეული კომპეტენციის და შესაბამისად თუ წავიკითხავთ შინაარს, ძალიან გასაგებად და მარტივად წერია კონკრეტულად რა ტიპის კვალიფიკაციაზეა საუბარი და ვის მიენიჭება ეს კვალიფიკაცია. აქ არ არის საუბარი სამართლის სპეციალისტზე. შინაარსობრივად ყველაფერი კარგად ჩანს პროგრამაში, ამაზე უკეთესი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება პირველი თვალსაზრისით სტუდენტმა მიიღოს არ არსებობს. რაც შეეხება ინტერდისციპლინარულობას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ გასცა უკვე პასუხი. ეს ინტერდისციპლინარობი საკითხი დარეგულირებულია კანონით. ინსტიტუციამ არ აირჩია ამ კრედიტების სისტემა არ აირჩია, რადგან ინტერდისციპლინარობის საკითხებს არ მოიცავდა. პროგრამის ხელმძღავნელმა უკვე თქვა, რომ ინტერდისციპლინარული პროგრამები რაში სჭირდება, რომ ამ შემთვევაში სხვადასხვა კომპეტენციაზე კი არ უნდა გავიდეს, არამედ უნდა მომაზდდეს ეკონომისტი. ამ შემთხვევაში სკრედიტების რაოდენობა დალაგდა იმის შესაბამისად თუ რა რაოდენობას ითხოვდა ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია. შესაბამისად კრედიტების რაოდენობის თვალსაზრისით პრობლემა არ გააჩნია პროგრამას, საუბარია დარგობრივ კრედიტებთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ გაუკვირდა მოსაზრება, რომ სტუდენტი, როდესაც მოვა პროგრამაშ არსებული გარკვეული საკითხები შეიძლება უკვე იცოდესო. შესაძლებელია, თუმცა აკადემიური აკედემიური პროგრამები საფეხურების მიხედვით არის დაყოფილი და მაგლითად სამართალში, სტუდენტს პირვე კურსზეც და მეორე კურსზეც შეიძლება ასწავლო ვალდებულებითი სამართალი, შემდგემ მოვიდეს მაგისტრატური საფეხურზე, აიღოს კერძო სამართალი და ასევე ასწავლო ვალდებულებითი სამართალი. მაგრამ იმისათვის, რომ შეცდომა არ იყოს უნდა განისაზღვროს როგორი სირთულით იქნება აღნიშნული საკითხები დარეგულირებული. ნორმატიული აქტის დანართი 1-ის მიხედვით, განსაზღვრულია, დონეების შესაბამისად, როგორ უნდა იყოს კომპეტენციები განლაგებული, პროგრამაში მე-7 დონის კომპეტენციები არის გაწერილი. ამიტომ აქ პრობლემა ის კი არ არის იგივე საგანი ნასწავლი აქვს თუ არა ბაკლავრში, შესაძლებელია სათაურები მეორდებოდეს, მაგრამ დონე და სირთულე იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული. არც სამართლებრივი თვალსაზრისით და არც ხარისხობრივი თვალსაზრისით არცერთი ნორმატიული აქტი და არც საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული მოთხოვნები არ არის დარღეული. შესაბამისად, როცა ექსპერტი ამბობს, რომ შეფასება კარგია თუმცა რეკომენდაციები არის ძალიან რთული, ამ თვალსაზრისით მან უნდა დაადასტუროს რაში წარმოადგენს, რადგან შინაარსობრივადაც გაეცა პასუხი და რათქმაუნდა აქ საუბარია კიდევ ხარისხობრივ ნაწილზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა არჩევით საგნებსა და კრედიტების გადანაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის გაზიარდა ის მასალა, რაც იყო გადაგზავნილი ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშილმა განმარტა, რომ მისი კითხვა გამომდინარეობდა იქიდან, რომ როდესაც საბაკლავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კომპეტენციებზე ვწერთ, სამაგისტრო დონეზე მაგალითად ეკონომიკა თუ არის და არ არის ინტერდისციპლინარული. ცოდნა და გაცნობიერებაში წერია, რომ აღწერს მაკრო ეკონომიკს მთავარ პრონციპებს და იდეებს. არის ეს სამაგისტრო დონის სილაბუსი? აღწერა ეს არის საბაკლავრო დონის შესაბამისი. იგივე არის მიკრო ეკონომიკაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ჯოჯუმა დაადასტურა, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული ინფორმაცია. სადაც პროგრამაშ არის 6 არჩევითი საგანი, მათგან ორი არის 12 კრედიტიანი და დანარჩენი ოთხი არის 6 კრედიტიანი. ეს სასწავლო კურსებბი არის: „საქართველოს გადასახადების სისტემა“ „აკადემიური სტატია“ „სასწავლო პრაქტიკა“ „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ „გამოხატვის თავისუფლება შედარებით პერსპექტივაში“ და „საჯარო პოლიტიკის ანალიზი.“ ექსპერტმა ასევე ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტებს შეუძლიათ კონკრეტული მაგალითები მოიყვანონ ლიტერატურასთან დაკავშირებით და ეს საკითხები განხილული იყო დაწესებულებასთანაც ვიზიტის დროს. მაგალითად ერთერთი სასწავლო კურსი „კვლევითი სემინარი 1“ რომელშიც პირველივე თემა არის ეკონომიკური კვლევების აქტუალური თემატიკა და ახალი მიმართულებები. ამ დროს საკითხავი ლიტერატურა მითითებული არის

2009, 2001 და 2003 წლის ლიტერატურები. ექსპერტის მოსაზრებით ინსტიტუციას არ აქვს პრობლემა იმასთან მიმართებაში, რომ მას შეუძლია მიუთითოს დანამდვილებით ახალი ლიტერატურა ამ მიმართულებით უბრალოდ უფრო მეტი სამუშაო საჭირო ამ მიმართულებით. დაწესებულება ასევე დაადასტურებს იმას, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებებთან დაკავშირებით სილაბუსებში ექსპერტებს ჰქონდათ საუბარი პროგრამის ხელმძრვანელთან, რომ მხოლოდ აღწერის დონეზე ჰქონდათ ჩამოწერილი სწავლის შედეგების სილაბუსი.

საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე დაინტერესდა „შედარებითი კონსტიტუციუირ სამართლის“ დისციპლინის დაძლევას მოახერხებს თუ არა სტუდენტი, რომელიც ამ პროგრამაზე სწავლობს, თუ ის არ არის სამართლის ბაკალავრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთი გივიშვილმა განმარტა, რომ ცოდნის და გაცნობიერების ნაწილში სწავლის შედეგები არის ზმნა „აღწერს“ გამოყენებით ფორმულირებული. ექსპერტების პოზიცია იყო ასეთი, რაც ასევე რჩევებშიც გაიწერა, რომ ინსტიტუციას აქვს საშუალება სირთულის კოეფიციენტიდან გამომდინარე, გამოიყენეოს უფრო რთული კომპლექსური ზმნები. ზმნა „აღწერს“ არის რეკომენდირებული და ამაში პროგრამის წარმომადგენლებმა უფრო ფართო აზრი ჩადეს, სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი სირთულიდან გამომდინარე, მაგრამ ის ფაქტი, რომ თვითონ საგნები უზრუნველყოფს სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი სირთულის კოეფიციენტისთვის საკმარისი შედეგების გამომუშავებას რაც ექსპერტთა დასკვნიადანაც გამოიკვეთა და გარდა ამისა იყო რჩევაც, იქიდან გამომდინარე, რომ უფრო რთული შედეგების რეალიზაცია არის შესაძლებელი ზმნა“აღწერს“ უფრო მარტივი ხომ არ იყო და უფრო რთული ზმნა ხომ არ არის საჭირო. რეალურად ის ფაქტი, რომ პროგრამა ამუშავებს საკმარისდა რთულ შედეეგსბ ამ საგნებით სრულად არის დადასტურებული ექსპერტთა დასკვნაში. დაწესესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა დაამატა, რომ პროგრამაზე და სილაბუსზე საუბრისას უფრო მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ თარიღებით და დასახელებებით, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ფაქტობრივად რა ხდება სახელმძღვანელოებში. მაგალითად, თუ ექსპერტები იტყოდნენ, რომ 2014 წლის ჰელ ვერიანის წიგნში არის თემა რომელიც ამ პროგრამისთვისაა, დაეტანხმებოდნენ პროგრამის წარმომადგენლები. თმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალი არაფერი არ წერია ახალ გამოცემაში. შეიცვალა თარიღი, აქედან გამომდინარე დასკვნა უნდა გაკეთდეს არა თარიღებით არამედ იმით თუ რა შინაარსია მასში. იგივეა „კვლევით სემინარზე“, აღნიშნული სემინარი უბიძგებს სტუდენტს ჩაატრაოს კვლევა, გამოიკვლიოს და შეაგროვოს ლიტერატურა, შეისწავლოს. „კლევითი სემინარის“ პირველ თემაში, სადაც ხდება ეკონომიკურ მიმართულებებზე საუბარი არის სამი ლიტერატურა მითითებული, ერთი არის „ეკონომიკის ფილოსოფიის ნაწილი“ მეორე ეკონომიკურ ისტორიას შეეხება და მესამე ასევე ფილოსოფია „ფაქტები და კონტრასტული მტკიცებულებების.“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სინამდვილეში აქ ისწავლება ფუნდამენტური და ფილოსოფიური ნაწილი, როგორ არის აწყობილი კვლევა, როგორ ყალიბდება თეორიები და სხვა. ეს უფრო რთული და საწირო ცოდნა ვიდრე ახალი სტატიის მიწოდება და იმის თქმა, თუ რა კარგია, ეს ყველაფერიი თვითონ უნდა გააკეთოს სტუდნეტმა, ხოლო პროგრამის წარმომადგელები ასწავლიან უფრო ფართო კონტექსტს, რომ მერე მისი მოძიება და უნარი გაარჩიოს რას ხედავს და დამოუკიდებლად გააკეთოს ეს საქმე, რაც სხვა ტიპის ცოდნას მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას მიკრო ეკონომიკაზე, მაგალითად ერთ-ერთი სილაბუსი სადაც წერია, რომ „ეცოდინება მიკრო ეკონომიკის პრობლემების პრაქტიკაში გადაწყვეტის განსხვავებული მეთოდები“ ვერცერთი ბაკლავრი, ვერასდროს ვერ გამოიყენებს რაიმე მიკრო ეკონომიკური პრობლემების პრაქტიკაში გადაწყვეტას, რადგან არ ისწავლება. მინიმუმ იმას არ ასწავლიან, რომ მოთხოვნითი მიწოდება არ ითვლება პრაქტიკაში, ეს არის ზოგადი თეორიული საკითხი. გასაგებია, რომ შეიძლება შევეჭდოთ გარკვეულ სიტყვებს და თარიღებს, მაგრამ შინაარსით ის აკმაყოფილებს სამაგისტრო დონეს. რაც შეეხება კითვას, რამდენად დაძლევადია სასწავლო კურსი „შედარებითი კონსტიტუციუირ სამართლის“, ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო დისკუსიები და შესაბამისად ინსტიტუციას მიაჩნია, რომ ყველა წარმოდგენილი სილაბუსი დაძლევადია. თუკი კონკრეტული თემების მიმართ არსებობს რაიმე შენიშვნა, ამ მიმართულებით უფრო ვრცელ და ამომწურავ პასუხს გასცემს დაწესებულების წარმომადგენელი ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც არა დარგის სპეციალისტისთვის ბუნდოვანია ერთ-ერთი საკითხი, ამიტომ კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ როდესაც ისინი მუშაობდნენ პროგრამის კონცეფციაზე ექნებოდათ გარკვეული ორიენტირი, თუ ბაკალავრის, რომელი კვალიფიკაციის მქონე პირზე არის ორიენტირებული პროგრამა, რა ტიპისი ცოდნის და უნარების მქონე პირის მიღების შემთვევაში იქნება მაქსიმალური ეფექტი სწავლის შედეეგბის მიღწევების თვალსაზრისით. როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამა, რა ტიპის კვალიფიკაციის მქონე ადამიანი არის ის ვინც პროგრამაზე ჩააბარებს და ამის გათვალისწინებით არის პროგრამაც შემუშავებული.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მიზანი იყო მაქსიმალურად ფართო ყოფილიყო. მისი პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია ფიზიკოსი ბევრად უფრო ეფექტიანი და კარგი სტუდენტი აღმოჩნდეს ეკონომიკაში ვიდრე მაგალითად უშუალოდ ეკონომისტის ბაკლავრი. ამიტომ ამ შემთხვევაში, პროგრამა ისე არის აწყობილი, რომ ფართო ცოდნის ადამიანები შეიძლება მოვიდნენ. ამით შეიძლება პროგრამამ მოიგოს კიდეც, რადგან იქ იქნებიან განსხვავებული ცოდნის და ბეგრაუნდის სტუდენტები. ტექნიკური ნაწილი, რომ რაღაცა გარკვეული ცოდნა უნდა ქონდეთ, თუნდაც ეკონომიკის ან ინგლისურის ნაწილში ეს მოწმდება საწყის ეტაპზე, მაგრამ მერე უკვე აღარ არის შეზღუდვა რაიმე კონკრეტულ ცოდნზე. პროგრამა აპირებს, რომ მიიღოს მხოლოდ 15 სტუდენტი, ეს არ არის მასობრივი პროგრამა და ფაქტობრივად ინდივიდუალური მუშაობა იქნება თითოეულ სტუდენტთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლოგიკური წინააღმდეგობაა, რადგან თუკი პროგრამის წარმომადგენელები ამბობენ, რომ ეს არ იცის ეკონომიკის ბაკლავრმა და ამიტომ ეს უნდა ისწავლებოდეს აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაში, ამ შემთხვევაში ეს ფიზიკოსმა საერთოდ არ იცის. არის თუ არა შიდა გამოცდა, რათა მინიმალური ცოდნა დადგინდეს, რა იცის ეკონომიკაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სავსებით ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლის ალექსანდრე რაქვიაშვილმა მოსაზრებას სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით. სიტყვებზე დავა, „აღწერს“ თუ „სიღრმისეულად აღწერს“ ალბათ არ არის სწორი, მთავარია ის თუ რას აღწერს. ელემენტარული რამ შესაძლებელია სიღრმისეულად აღწეროს, მაგრამ ძალიან მსხვილი და ის რაც კომპლექსურად გასაანალიზებელია, უბრალოდ შეიძლება აღწეროს. ამიტომ აქ უფრო მნიშვნელოვანია სწავლის შედეგი რა არის, თუმცა საბჭოს წევრმა აღნშნა, რომ როდესაც ჩახედა სილაბუსებს, ევროპული უნივერსიტეტების უმეტესობა ეკონომიკის მიმართულებით ხორციელდება, დაახლოებით იმავე ლოგიკით როგორც ეს აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაშია წარმოდგენილი, თუმცა არის ერთი მცირედი სხვაობა. იმ პროგრამებსა და სასწავლო კურსების ნოტაციებში ეკონომიკა უფრო სიღრმისეულად არის შემოტანილი. სწავლის შედეგებით გასაგებია, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამას ამას აკეთებს, არსებობს ამის იდეა, მაგრამ თემების ფორმულირება ამის საშუალებას არ იძლევა. ცოტა უფრო მსხვილად ჩაშლილი, რომ ყოფილიყო გამოჩნდებოდა თამაშთა თეორიას ეხება თუ არაა, რადგან პროგნოზირებისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაკრო ეკონომიკური ანალიზი და ეკონომიკური ანაზლი ამას მოითხოვს, რომ სხვადასხვა სცენარებიც კი წარმოიდგინოს და ამის უნარები ჰქონდეს. ინდუსტრიული ორგანიზაციების ცოდნა და ამ ორგანიზაციების ფუნქციონირება ძალიან მნშვნელოვანია. არ ჩანს სილაბუსის თემატიკიდან ეს სადმე იფარება თუ არა. საჯარო პოლიტიკა კარგია, თუმცა ეს სოცილური პოლიტიკაც არის, ეკონომიკური პოლიტიკაც არის და სამართლებრივი რეფორმებიც არის. იგივეა „ადამიანური რესურსების მართვა“ „შრომით რესურსების მართვა“ არ ჩანს რა სიღრმეზეა ეს ცოდნა და ამასთან დაკავშირებით როგორია დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია. ამ განათლების კურსდამთავრებულისთვის, რომლის გამოშვების ამბიციაც აქვს ინსტიტუციას, ეს საკითხები არის სავალდებულო მინიმუმი რაც უნდა დაიფაროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთი გივიშვილმა აღნშნა, რომ პროგრამის წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვნად შეიმუშავეს მოდელი, რომელშიც რამდენიმე წინაპირობა არის იმისთვის, რომ მიიღონ ის კონტიგენტი, რომელიც პროგრამას სჭირდება. ამ შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც მოდის უნივერსიტეტში, ისე როგორც პროგრამაშ არის გათვალისწინებული რეგისტრირდება პლატფორმაზე, რომელზეც აქვს საშუალება, რომ მოისმინოს ელოქტრონული კურსი ეკონომიკაში, რომელიც წინასწარ არის ჩაწერილი პროგრამის წარმომადგენლის მიერ და ამის შემდგომ ტარდება ზეპირი გასაუბრება, რომელზეც დასტურდება კანდიდატი დაეუუფლა იმ მინიმალურ აპარატს, რომელიც ამ პროგრამის შედეეგბის დასუფლებად მიიჩნია საკმარისად და იჩენს თუ არა საკმარის მოტივაციას თუ არა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ გაეცნო აღნიშნულ მიდგომებს, თუმცა მისი კითხვა შეეხებოდა თუ რამდენად არის რელევანტური ზეპირ გასაუბრებაზე მაგისტრანტობის მსურველის ცოდნის შემოწმება. საბჭოს წევრმა ისაუბრა თავის გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ წერითი გამოცდითაც კი რთულია ამის დადგენა. აქედან გამომდინარე, ის ორი მიდგომა, რომ უნდა მოისმინოს სასწავლო კურსი და გავიდეს ზეპირ გასუაბრებაზე, არის თუ არა საკმარისი იმის გასაგებად დაძლევს თუ არა მაგისტრანტი აღნიშნულ რთულ სამაგისტრო პროგრამას. საბჭოს წევრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ პროგრამა კარგია, მაგრამ საჭიროა გარკვეული საკითხები იყოს უკეთესად მოწესრიგებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თავად ასწავლიდა მაგისტრატურაში ეკონომიკის ფაკულტეტზე, სადაც იყვნენ ეკონომისტებიც, მათემატიკოსებიც და

ფიზიკოსებიც. უამრავი მათემატიკოს აგრძელებს ეკონომიკას მაგისტრატურაზე, რადგან ხშირია, რომ აზროვნების წყობა ხელს უწყობს. თუმცა ეგ არ წარმოადგენს პრობლემას. ასევე გამოცდა არის ისე ზეპირი გასუაბრება, პროგრამის წარმომადგენლები გამოდიან იქიდან, რომ მას უკვე მინიჭებული აქვს ბაკლავრის ხარისხი, მას უკვე გააჩნია აზროვნების სათანადო უნარი, გაიარა კურსი დაინახა რა მოითხოვება და მან ეს გასაუბრებით უნდა დაადასტუროს. სილაბუსები ისე არის აწყობილი, რომ სირთულე იწყება ცოტა მოგვიანებით, ანუ ყველას აქვს შესაძლებლობა შევიდეს ამ პროცესში. პირველი თემები თუ ზოგადად მიდგომა არის ისე გათვლილი, რომ სხვადასხვა „ბეგრაუნდის“ სტუდენტები გავიდნენ. მნიშვნელოვანია კურსის შემდგომი შედეგი. პროგრამის დიზანი არის აწყობილი იმაზე, რომ სხვადასხვა „ბეგრაუნდის“ სტუდენტები მოვიდნენ. არ არსებობს სხვანაირი მეთოდი, პროგრამის წარმომადგენლება დაინტერესებულ პირებს, რომ მოსთხოვონ კონკრეტული ცოდნა ეს იქნება ისევ წინააღმდეგობაში მოსვლა პროგრამასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ თამაშის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია და ისწავლება კიდეც „მიკრო ეკონომიკის“ სილაბუსში. ზოგადად „მიკრო ეკონომიკაში“ ინდუსტრიული ეკონომიკის ნაწილი უკვე თამაში თეორიაზე არის აგებული და არ არის ისე პრიმიტიულად აღწერილი, როგორც მაგალითად შეიძლება შესავალი ეკონომიკის პრიმიტიულ საგნებში იყოს ან ბაკალავრიატში. ამიტომ, ზოგადად თუნდაც ანტიმონოპოლიური რეგულირება თავიდან ბოლომდე თამაში თეორიაზე დგას და ბუნებრივად ეს ისწავლება და ასეც უნდა იყოს. ნაკლებია გრაფიკები და სხვა მოდელები, იქ პირიქით ხდება, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სტრატეგიები აქვთ და არსებულ პიროებში უნდა აირჩიონ ოპტიმალური სტრატეგია და აქ ისწავლება თამშის თეორია. არსებობს ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც აუცილებლად ისწავლება პროგრამაზე, მაგალითად ასეთია კიდევ ქცევითი ეკონომიკის ნაწილი, რომ რაციონალუირი გაცნობის და მსჯელობისუნარი გააჩნია და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, მისი გადმოსახედიდან ყველა მნიშვნელოვანი ფუნდამენტური საკითხი არის პროგრამაში. თუმცა რაღაც სფეციფიკური საგნები არ არის პროგრამაში, რადგან სფეციფიკურ საგნებს, რომ დაეთმოს დრო მაშინ უნდა გავიდეს სფეციფიკური განხრით, რისი მოთხოვნაც არ არის ბაზარზე. იმდენად ახალია აღნიშნული პროგრამა, რომ ბაზარზე უფრო ფართო სფეციალისტებზე არის მოთხოვნა. პრობლემა გასაგებია, რომ შეიძლება კურსდამთავრებული წააწყდეს მისთვის უცნობ საკითხს და ეს პრობლემა, რომ მოგვარდეს გარდა იმისა, რომ კურსდამთავრებულ ქონდეს კვლევის უნარი სხვა გზით ვერ მოგვარდება. ამიტომაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის განსხვავება, ნახსენები სხვა სფეციფიკური პროგრამებისგან არის ის, რომ მეტი ფოკუსია გაკეთებული კვლევით უნარებზე, რათა სტუდენტებს უფრო მეტი უნარი გააჩნდეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშილმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი, რომ რადგან პროგრამა არის ახალი და შესაბამისად ის მიდგომა, რაც დაწესებულების წრამომადგენელმა ქეთი გივიშვილმა ახსენა ახლა უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში, ისე არ იყოს გაგებული, რომ ამის გამოცდილება არ აქვს ინსტიტუციას. საუბარია კომპეტენციების შემოწმებაზე, სანამ ჩაირიცხება სტუდნეტი პროგრამაზე. ამის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ინსტიტუციას. ინსტიტუციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე მთავარი საშუალება არის იმისათვის რომ თუნდაც აზროვნების უნარი ზეპირი გამოცდიდან გამომდინარე გამოიკითხოს და მათ შორის მისი კვალიფიკაციით მიღებული ცოდნიდან გამომდინარე ჩაწვდე სხვა დარგში რა ტიპის კომპეტენცია შეიძლება ჰქონდეს. ზუსტად ამ გასუბრების პროცესი არის იმგვარად მორგებული, რომ ერთის მხრივ თემატიკის ფაქტობრივ ცოდნასაც ამოწმებს და მეორეს მხრივ მასთან უშუალოდ კომუნიკააციიდან გამომდინარე, როგორი აზროვნების უნარი აქვს. პრაქტიკა ძალიან მარტივია, მოდის დაინტერესებული პირი, წინასწარ იცის საკითების ჩამონათვალი, იღებს ბილეთს, ეძლევა სააზროვნოდ რამოდენიმე წუთი, რამოდენიმე წუთში უყალიბდება თავისი ცოდნა და აქედან გამომდინარე მან უკვე შეიძლება დაასაბუთოს ეს. ამ პრაქტიკით ძალიან კარგად ვლინდება კომპეტენციის შემოწმების საკითხი, სანამ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია და მისი სუბიექტური მიდგომით კაცობრიობას ამაზე უკეთესი მეთოდი არ მოუფიქრებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:18:45
დასრულების დრო: 19:39

19:39 საათზე, საბჭო დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართლისა და ეკონიმიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართლისა და ეკონომიკის“ ეკონიმიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1.1 რეკომენდებულია დაზუსტდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სათაური, მიზნები და სწავლის შედეგები, რათა სრულად პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
2.1 რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს უფრო გამჭირვალე და მარტივად გაზომვადი.
2.3 რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა.

რჩევები:
2.2 მიზანშეწონილია ეკონომიკური ბლოკის სასწავლო კურსების კრედიტები გადანაწილდეს მეტი რაოდენობით ეკონომიკურ საგნებზე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის ვშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.10.2020, გადაწყვეტილება №006803
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსიN 6, მ. კოსტავასქ. N 77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თავაზ ბიჭიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტზე, 2020 წლის აგვისტოში, თავად იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ჩამოაყალიბეს რამოდენიმე რეკომენდაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ინსტიტუციამ წარმოადგინა პოზიცია, რომ მართვის სისტემების გაძლიერების მიზნით შემოიტანეს "ინტელექტუალური სენსორების" სასწავლო დისციპლინა, რომელიც ექსპერტის თქმით მართლაც თანამედროვე სასწავლო დისციპლინა, მოიცავს გაზომვის ტექნიკას და სენსორებს. გარადა ამისა იქ ჩაშენებული პროცესორებიც განიხლება. რაც კარგია, თუმცა ინსტიტუციას არ აქვს წარმოდგენილი სასწავლო კურსის „ინტელექტუალური სენსორები" სილაბუსი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექიკური უნივერსიტეტის სხვა პროგრამების აკრედიტაციის ვიზიტზეც ყოფილა და შესაბამისად იცის, რასაც კითხულობენ აღნიშნულ კურსს. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ გაზარდა ინგლისური ენის კრედიტების რაოდენობა 20 კრედიტამდე, მაგრამ არსად არ არის ხაზი გასმული, რომ ეს კრედიტები ინგლისურის სწავლებას მოხმარდება თუ ზოგადად უცხო ენის სწავლებას. ექსპერტის პოზიციით აუცილებელია გაძლიერდეს ტექნიკური ინგლისურის სწვალება. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტებმა შესთავაზეს გაეძლიერებინა პრაქტიკის კომპონენტი, რადგან გამოდიან ინჟნრები და ინჟნერმა უნდა განივითაროს პრაქტიკული უნარები და ჩვევები. გარდა ამისა კომპიუტერული ინჟინერია ისეთი მეცნიერებაა, რომ ყველა სფეროს წვდება. მათ უნდა დაამუშაონ პროგრამები და შევიდნენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში. ექსპერტების პოზიცია იყო, რომ პრაქტიკის პერიოდშ სტუდენტებს განუვითარდეს ხედვა თუ როგორ მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესები, რათა შემდგომ პროგრამაც მოარგოს. უნივერსიტეტის პოზიცია ამსთან დაკავშირებით იყო, რომ სტუდენტებს წარმოებაში ყოფნა მოუწევთ 90 საათის განმავლობაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადახედა გაფორმებულ ხელშეკრულებებს სხვადასხვა უწყებებთან, სადაც სტუდნეტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკა. არაერთი ექსპერტიზის დროს ექსპერტებს უხდებათ შეხვედრა დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორიციელებლებთან, სადაც პრაქტიკას გადიან სტუდენტები იქ სპეციალისტები აფიქსირებენ აზრს, რომ გაატარებენ სტუდენტებს პრაქტიკას, მაგრამ თუკი ამათ მოვემსახურებით საქმეს უნდა მოვწყდეთო და შესაბამისად არანაირი დაინტერესება არ გვაქვსო. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა" სტუდენტთა საწარმოში ყოფნის პერიოდი გაიზარდა, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ ჩანს კონკრეტულად რა საქმის გაკეთება მოუწევთ სტუდენტებს პრაქტიკის გავლისას, ან რით იქნებიან დაინტერესებული საწარმოში დასქმებული სპეციალისტები სტუდენთა პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის გაწეული მუშაობის საფასურად. ექსპერტი თვლის, რომ კარგი იქნება ეს თუ გამოჩნდება, მისი მოსაზრებით, ასევე სასურველია სტუდენტებმა პრაქტიკის 90 საათი გაატარონ არა ერთ, არამედ 2 ან სამ სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე საწარმოში. გამომდინარე იქიდან, რომ „კომპიუტერული ინჟინერია" ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ყველაფერს მოიცავს და ამიტომ ფართო ხედვა უნდა განუვითარდეს სტუდენტებს. ინსტიტუცია ასევე სთავაზობს, კონკრეტულ სასწავლო კურსებს, რომლებიც შესძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას სტუდენტებს, რასაც ეთანხმება ექსპერტი, თუმცა ამ საგნების შესწავლას აქვს თავისი დანიშნულება, ხოლო პრაქტიკას თავისი. ტექნიკური უნივერსიტეტის მე-9 კორპუსში არის თანამედროვე პროგრამული რესურსებით და აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის მიერ არის წარმოებული. თუმცა ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ არის ისეთი სიტუაცია, თითქოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წინ უსწრებს განვითარებას და მნშვნელოვანია ამ კუთხით მუშაობა გაძლიერდეს. თუმცა ექსპერტი აღნიშნავს, რომ რამდენჯერმე მოუწია ვიზიტი ინსტიტუციაში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში და ამ მიმართულებით დაინახა ძვრები, ყოველდღიურად არიან

ჩართულები კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალისტები და ხდება პროგრამის ახალი ტექნიკური რესურსების ათვისება. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში ლაბორატორიული სამუშაოებზე აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციური პროგრამების პარალელურად აუცილებელია დაემატოს საგნობრივი/ნატურული ექსპერიმენტები რეალურ ობიექტებზე“ რაზეც, განსაკუთრებით კოვიდ ვითარებაში, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შემოგვთავაზა, სტუდენტების მიერ დისტანციურად ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების კონკრეტული ტექნოლოგია. თუმცა უნივერსიტეტის მიერ არაა წარმოდგენილი მეთოდური მითითებები კონკრეტული ლაბორატორიული სამუშაოების დისტანციურად ჩატარების შესახებ, არის მხოლოდ ავტორთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული სტატია დისტანციური ლაბორატორიული სწავლების ჩატარების შესაძლებლობათა შესახებ. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ თავისი მოსაზრებით ამის საფუძველზე სტუდენტი ვერ ჩაატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს. რაც შეეხება მეექვე რეკომენდაციას „გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;“ ექსპერტმა აღწშნა, რომ ეს არის უნივერსიტეტის ზოგადი პოლიტიკა და ამ მიმართულებით მიდის აქტიური მუშაობა. ხოლო მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის რეგულარულად ჩატარება.“ ექსპერტმა განმარტა, რომ თუ გადავხედავთ დოკუმენტებს, დოკუმენტებში არის მითითებული, რომ ასეთი დოკუმენტები ივსება და პერსონალს არც შეხვედრების დროს გამოუხატავს უკმაყოფილება. ექსპერტმა აღნიშან, რომ წარმოდგენილი შვიდივე რეკომენდაციიდან, შვიდივე სრულდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლმა, ქეთევან კოტეტიშვილმა ისაუბრა ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნაზე და აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ინტელექტუალურ სენსორებს. ეს სილაბუსი აქვს პროგრამას და დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით სავარაუდოდ იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან აიტვირთა ყველა დოკუმენტი და ეს სილაბუსი არ აიტვირთა. მან განმარტა, რომ შეუძლია წარუდგინოს საბჭოს აღნიშნული სილაბუსი. პროგრამაში გათვალისწინებულია.

ხოლო მეორე რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა ინგლისურს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო მხოლოდ 10 კრედიტით, მაგრამ ექსპერტების და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის რეკომენდაციით ეს ყველაფერი გაიზარდა 20 კრედიტამდე, რადგან სტუდენტმა, რომ ისწავლოს ტექნიკური ინგლისური, ის აუცილებლად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. თუ B2 დონე არ ექნება სტუდენტს, შესაბამისად ვერ ისწავლის ვერანაირ ტექნიკურ ინგლისურს. ხოლო მაგისტრატურის პროგრამაშ, რომელიც ახლა მზადდება იქ იქნება ტექნიკური ინგლისური გათვალისწინებული. რაც შეეხება პრაქტიკას, ექსპერტების რეკომენდაციით, გაიზარდა ორჯერ და გახდა 90 საათი. ხოლო მეთოდურ მითითებებთან დაკავშირებით, ეს მეთოდური მითითებები მზადების პროცესშია, გაიარა სარედაქციო კოლეგიები და შესაბამისი ეტაპები. შესაბამისად ახალი სასწავლო წლიდან ექნებათ სტუდენტებს. პროგრამა ახალია, შესაბამისად სტუდენტები არ ყავს, რადგან ისეთ დროს მიიღო აკრედიტაცია პროგრამამ, რომ სტუდენტები არ ყავს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების მიერ პირველ ადგილზე მონიშნული პროგრამების მიხედვით, პროგრამა საკმაოდ ლიდერობს, რადგან რა რაოდენობაც არის გამოცხადებული იმაზე მეტი მსურველია. დაწესებულების წრამომადგენლებს აქვთ მოლოდინი, რომ პროგრამა დიდი წარმატებით განხორციელდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან იმნაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიულ პოლემიკაში არ შედის ექსპერტთან და განმარტა, რომ კომპიუტერული ინჟნერია კი ცდილობს ხოლმე შეეხოს მართვის სისტემებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ... მართვის სისტემებს თავისი დანიშნულება და ფუნქცია აქვს, ხოლო კომპიუტერულ ინჟნერიას თავისი. უფრო მეტიც კომპიუტერული ინჟნერია გარკვეულწილად გახდა კლასიკა და შესაბამისად ნათელია, თუ რა საკითები და რა დისციპლინები უნდა იყოს ასახული. მაგრამ იმის გამო, რომ პროგრამის წარმომადგენლები ითვალისწინებენ ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნებს და ამიტომ ცდილობენ ზოგიერთი ისეთი საკითხი ჩართონ, რომელიც მოთხოვნადია შრომით ბაზარზე. შესაბამისად ერთ-ერთი მომენტი შეიძლება იყოს შიგნით მართვის სისტემის რაღაც ფრაგმენტის არსებობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამას მართვის სისტემა ბოლომდე განვითარდეს და იქ მართვის თეორიები, რომელიც მათემატიკის დარგს განეკუთვნება და შესაბამისად ეს თეორიები აისახოს. ამიტომ

დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, რაც ასახულია სრულებით ოპტიმალურია შრომის ბაზრის, სტუდენტის მოთხოვნების და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა ტექნიკური უნივერსიტეტი მუშაობს "ABET"-ის აკრედიტაციისთვისაც, რომელსაც თავისი მოთხოვნები აქვს კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის მიმართ. აქედან გამომდინარე, პროგრამის წარმომადგენლები ისედაც ფიქრობდნენ, რომ ინტელექტუალური სენსორები ჩაემატებინათ იმდენად, რამდენადაც ეს გააძლიერებდა ამ საკითხს ამიტომ ჩაამატეს. რაც შეეხება პრაქტიკებს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამას სტუდენტი არ ყავს, უნდა გავიდეს სამნახევარი წელი რათა პრაქტიკამდე მივიდეთ. შესაბამისად ის ხელშეკრულებები, რაც ახლა არის დადებული ბუნებრივია თავიდან იქნება გასაკეთებელი.თუმცა რაც შეეხება, საკითხს თუ რა მოტივაცია აქვს საწარმოს, რომელიც სტუდენტს იღებს პრაქტიკაზე, დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ შეთავაზებბული პრაქტიკა არის საწარმოო პრაქტიკა, რაც ნიშნავს, რომ საწარმოში მისულმა სტუდენტმა უნდა ჩაანაცვლოს მუშაკი ადგილზე, რაც მომგებიანი საკითხია უშუალოდ საწარმოსთვის. შესაძლებელია წარმოიშვას კითხვა თუ რა უნარჩვევები ექნებათ სტუდენტებს, რომ ჩაანაცვლონ მუშაკები. წარმომადგენლის მოსაზრებით, გამოცდილება აჩვენებს, რომ სტუდენტები ამ ტიპის პროგრამებზე უკვე მეორე და მესამე კურსიდან მუშაობენ, ამდენად თუ ასეთ სტუდენტს, რომელიმე საწარმო აიყვანს პრაქტიკაზე მისთვის ეს მომგებიანი საკითხი იქნება. 90 საათი ნიშნავს იმას, რომ ერთი მუშაკი შეიძლება ჩანაცვლდეს მინიმუმ 2 კვირით. რაც შეხება თემატიკებს, თ რა თემატიკაზე უნდა იყვნენ სტუდენტები საწარმოში, წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ ეს ჩამოთვლილია სილაბუსში. დაწესებულების წარმომადგენელი იზიარებს ექსპერტის პოზიცია, რომ სტუდენტმა პრაქტიკა გაიაროს რამდენიმე საწარმოში, რადგან ეს იქნება კარგი, თუმცა რამდენად იქნება ამის მართვა შესაძლებელი, ეს არის სხვა საკითხი. თუ სტუდენტი გაიგზავნება კომპიუტერულ ქსელების პრაქტიკაზე რუსთავის მეტალორგიულ ქარხანაში ან ჯანდაცვის სამინისტროსი, ეს იქნება ერთიდაიგივე. სხვადასხვა ადგილზე გაგზავნას, აზრი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესის სწავლებაზე. დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ თვითომ მაინც ემხრობა მუშაკის ჩანაცვლებას ადგილზე. თუმცა სტუდენტს დასჭირდება ადაპტაციის პერიოდი, რაც რამდენიმე საწარმოში პრაქტიკის გავლისას წარმოქმნის დისკომფორტს. რაც შეეხება წარმოდგენილ სასწავლო კურსებს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოყენებულია ნატურული აგრეგატები არის გამოყენებული, ანუ ის საგნები არის გამოყენებული, რომელიც ამ სტუდენტს დახვდება იმ საწარმოში სადაც მივა პრაქტიკაზე. გარდა ამისა ამ საგნებში, არამარტო აღნიშნულ საგნებს სწავლობს, არამედ სწავლობს ამ ნატურულ ხელსაწყოებთან ურთიერთობას. კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია, რომელიც აქვს ინსტიტუციას, ზუსტად ასეთი დახვდება სტუდენტს საწარმოში რომელშიც წავა.რაც შეეხება დისტანციურად ლაბორატორიული სამუშაოების ცატარებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც ამ საკითხზე მუშაობდა მკვლევართა ჯგუფი, ყოველთვის იყო მოლოდინი პანდემიის დასრულების. ტექნოლოგია დამუშავებულია, შესაბამისად ინსტიტუცია არ აკეთებდა ამ ტექნოლოგიის აფიშირებას, რადგან მიდის მიდის მისი დაპატენტების პროცესი, რომელიც 2-3 თვეში დასრულდება და შემდგომში შესაძლებელი იქნება ამ საკითზე ფართოდ საუბრაი, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ეს პრობლემა არამხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის, არამედ ყველა უნივერსიტეტის პრობლემა, რომელსაც საქმე აქვს ტექნიკასთან, ტექნოლოგიებთან და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოელი ექსპერტების ვარაუდით პანდემია უნდა დასრულდეს 2023 წელს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის პროგნოზით ეს წლები უფრო შორსაა, ამიტომ ტექნიკური დარგები ფრიად გამოუალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ამიტომ ინსტიტუცია შეძლებს. მეთოდური მითითებები, მანამდე ჰქონდა ინსტიტუციას მზად, სანამ ამ ტექნოლოგიას შეიმუშავებდა, რადგან ეს ორივე საკითხი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. თუმცა დოკუმენტაციაში არ ჩადეს იმიტომ, რომ დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ტექნოლოგია არ არის მზად და შესაბამისად, როდესაც პატენტირების პროცესი დამთავრდება მერე იქნება შესააძლებელი ღიად საუბარი. სხვა საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიდი შრომა აქვს ჩადებული ექსპერტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:12
დასრულების დრო: 20:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ